



# შენაბამისობის აუდიტის ანგარიში





## სახელმწიფო აუდიტის სამსახური

**„გამტკიცებ“**

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ  
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში  
კახაბერ კირთავა

20 იანვარი 2020 წელი

N 4/36

ვგზ.: N 1

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქალაქ  
ბათუმის მუნიციპალიტეტის წილობრივად  
მოქმედ საწარმოებში საწესდებო კაპიტალის  
ფორმირებისა და საფინანსო-ეკონომიკური  
საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი  
(01.01.2017 - 31.12.2018)

## შინაარსი

### ძირითადი ნაწილი

|                                            |    |
|--------------------------------------------|----|
| ტერმინები და შემოკლებები                   | 2  |
| შემაჯამებელი მიმოხილვა                     | 3  |
| რეკომენდაციები                             | 6  |
| 1. შესავალი                                | 10 |
| ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა            | 10 |
| აუდიტორის პასუხისმგებლობა                  | 10 |
| აუდიტის საგანი                             | 10 |
| აუდიტის მასშტაბი                           | 10 |
| აუდიტის კრიტერიუმები                       | 10 |
| აუდიტის მიზანი                             | 11 |
| აუდიტის მეთოდოლოგია                        | 12 |
| ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ | 13 |
| 2. აუდიტის მიგნებები                       | 14 |
| საკონტაქტო ინფორმაცია                      | 45 |

### დანართები

#### ტერმინები და შემოკლებები

**ეროვნული ბიურო** – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიურო.

**მარეგულირებელი კომისია** – საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.

**მერია** – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

**სააგენტო** – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

**შპს** – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

**სსიპ** – საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

**სს** – სააქციო საზოგადოება.

**საგადასახადო კოდექსი** – საქართველოს კანონი – საქართველოს საგადასახადო კოდექსი.

**ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

**ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

## შემაჯამებელი მიმოხილვა

### შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების მართვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის წილობრივად მოქმედ საწარმოებში საწესდებო კაპიტალის ფორმირებისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის 2017-2018 წლების შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი სახის ნაკლოვანებები:

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების წილის მფლობელები შესაბამის ზედამხედველობას არ უწევდნენ შპს-ების საქმიანობას, არ ტარდება შესაბამისი მმართველობითი ღონისძიებები, შედეგად, 14 შპს-ს ფინანსური შედეგი დასრულებული აქვს ზარალით, 7 შპს არ ფუნქციონირებს და მათ საკუთრებაში არსებული აქტივების ძირითად ნაწილზე მიმდინარეობს სამართლებრივი პროცედურები, მათ შორის, 3 შპს-ის დამფუძნებლებს არ ჰქონდათ ინფორმაცია მათი არსებობის შესახებ, თუმცა საჯარო რეესტრის მონაცემებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოებია. ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მმართველობაში მყოფ 10 შპს-ზე დადგა გადახდისუუნარობის და გაკოტრების წინაპირობა, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტს შესაძლოა მიაღდეს ზიანი;

- შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ მოქმედი რეგულაციებით, სამედიცინო საქმიანობისათვის დამტკიცებულია ხარჯების ზღვრული ნორმები, თუმცა მედიკამენტების და კვლევის ნაწილში ჩამოწერილია ნორმებთან შედარებით გაცილებით მეტი ოდენობის მედიკამენტები, შედეგად, შპს-ს მიღებული აქვს საოპერაციო ზარალი;

- შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ მიერ კომპანია Smoove-ზე ველოსიპედებისა და მათი ტერმინალების მომსახურებისათვის გადახდილია მნიშვნელოვანი თანხები, თუმცა მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ვერ წარმოადგინეს და ანგარიშსწორება განხორციელებულია დასაბუთების გარეშე.

- წლების განმავლობაში წყლისა და წყალარინების სისტემის რეაბილიტაციისათვის გახარჯული მნიშვნელოვანი თანხების მიუხედავად, 2017-2018 წლებში დანაკარგადაა აღიარებული შპს „ბათუმის წყლის“ მიერ მოპოვებული წყლის, საშუალოდ, 70%. აბონენტების მიერ სწრაფი გადახდის აპარატებით გადახდილი მოხმარებული წყლის საფასური მომსახურე ბანკმა დროულად არ მიმართა კომპანიის ანგარიშზე, შედეგად, შპს „ბათუმის წყალმა“ დაკარგა დამატებითი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა.

### შპს-ის შემოსავლები

### აქტივების აღრიცხვა

- შპს „სალის აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის ცენტრის“ და შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ მიერ უსასყიდლოდ მიღებული აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღრიცხული, რამაც შპს-ის არასაოპერაციო შემოსავლის და კაპიტალის შემცირება განაპირობა;

- შპს „ბათუმის წყლის“ და შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ მიერ მოქმედი რეგულაციებით გაუთვალისწინებლად ჩამოწერილია ბალანსზე რიცხული დებიტორული დავალიანებები. შედეგად, გაზრდილია შპს-ების ზარალი, რაც შესაძლოა განპირობებული იყოს დავალიანებების მქონე პირების სასარგებლოდ, ვალის უსაფუძვლო ჩამოწერით.

### შრომის ანაზღაურება

- შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ და შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ ხელმძღვანელებს, პარტნიორის გადაწყვეტილების გარეშე, შპს-ს წესდების პირობების შეუსაბამოდ, დამატებით მიღებული აქვთ შრომის ანაზღაურება. ამასთანავე, შპს „სასწრაფო სამედიცინო

დახმარების ცენტრის“ მიერ, ადმინისტრაციულ პერსონალზე შრომის ანაზღაურება არ არის გაცემული თანასწორუფლებიანობის პირობებში ერთგვაროვანი მიდგომით;

- შპს „სარაგბო კლუბ ბათუმის“ საშტატო ერთეულით გათვალისწინებულ სხვადასხვა თანამდებობაზე დასაქმებული არიან შესაბამისი კვალიფიკაციის არმქონე ფიზიკური პირები, მათ მიერ განხორციელებულ მომსახურებაზე არ არის წარმოდგენილი მომსახურების ფაქტობრივად გაწევის დამადასტურებელი მტკიცებულება, თუმცა კლუბს გაცემული აქვს ანაზღაურება;

- შპს „ბათუმის წყლის“ მიერ, სანიაღვრე არხების მიმდინარე მოვლა-ექსპლუატაციის მომსახურებისათვის, თანამშრომლებზე ზეგანაკვეთური მუშაობისათვის ანაზღაურება გაცემულია შესრულებული სამუშაოს სახეების განსაზღვრის, არასამუშაო საათებში ფაქტობრივად შესრულების, მიზანშეწონილობის და სამუშაოს შესრულების ადგილმდებარეობის დადასტურების გარეშე.

### სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაცია

- შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ მიერ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანა განხორციელებულია ტექნიკურად გაუმართავი სატრანსპორტო საშუალებებით, ფიქსირდება მძღოლის არაფხიზელ მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალების მართვის ფაქტი და შედეგად, ავტოსაგზაო შემთხვევა;

- შპს „სანდასუფთავების“ მიერ უსასყიდლოდ, თხოვნის ფორმით მიღებული ავტომანქანების ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენება და სამსახურებრივი საჭიროებისათვის საწვავის ხარჯვა წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება. ამასთანავე, შპს „სანდასუფთავების“ და შპს „დინამო ბათუმის“ ბალანსზე რიცხულ ავტომანქანებზე, გავლილი მანძილის და დადგენილი ნორმების შეუსაბამოდ, ჩამოწერილია საწვავი, რაც წარმოშობს სატრანსპორტო საშუალებების და მასზე გახარჯული საწვავის არასამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების რისკებს.

### წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯები

- შპს „ბათუმის წყლის“ და შპს „ბათუმის სარაგბო კლუბის“ თანამშრომელთა მივლინებისათვის, თანხები დადგენილ ნორმებზე მეტი ოდენობითაა გახარჯული, ხოლო შპს „ბათუმის წყლის“ მიერ წარმომადგენლობითი ხარჯებისათვის თანხის ხარჯვა დოკუმენტებით არ დასტურდება. აღნიშნული გარემოებები ფულადი სახსრების არაეკონომიურად ხარჯვის რისკსა და შიდა კონტროლის არსებით სისუსტეზე მიუთითებს.

### სამედიცინო საქმიანობისათვის გაწეული ხარჯები

- შპს „სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის ცენტრის“ და შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ კლინიკაში პაციენტების არასწორად დაყოვნების, სტაციონარიდან გაწერის შემდეგ პაციენტების განმეორებით ჰოსპიტალიზაციის და პაციენტთა ისტორიაში გაურკვეველი ჩანაწერების გამო, შპს-ებმა სადაზღვევო კომპანიებისგან ვერ მიიღეს გაწეული მომსახურების საფასური. შედეგად, გაზრდილია კლინიკების ფინანსური ზარალი.

### სახელმწიფო შესყიდვები

- შპს „სარაგბო კლუბ ბათუმის“ სპორტსმენებზე მიმწოდებლის მიერ მომსახურების ფაქტობრივად გაწევა წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დგინდება. შედეგად, მიმწოდებელს თანხა მიღებული აქვს ისეთ მომსახურებაზე, რომელიც შესაძლოა არ განხორციელებულა. აღნიშნული გარემოება შპს-ის მიერ ფულადი სახსრების არამიზნობრივად ხარჯვის რისკზე მიუთითებს;

- შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის“ მიერ რეზერვუარის დემონტაჟის, გადაკეთება-მონტაჟის სამუშაოებისათვის მიმწოდებელზე თანხა გადახდილია შესასრულებელი სამუშაოების დასახელების, მოცულობის და მასალების ფაქტობრივად ხარჯვის დამადასტურებელი მტკიცებულების გარეშე. ანალოგიურად, შპს „სავაჭრო ცენტრ 2009“-ის მიერ ბაზრის ტერიტორიაზე, სარემონტო სამუშაოებისათვის, სატრანსპორტო ხარჯი გადახდილია ფაქტობრივად შესრულების დადასტურების გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ დგინდება რამდენად შეესაბამება შპს-ების მიერ გაწეული ხარჯები რეალურად განხორციელებული სამუშაოების ღირებულებასთან;
- შპს „სარაგბო კლუბ ბათუმის“ მიერ სპორტსმენებისთვის ბინის დაქირავება, რიგ შემთხვევაში, განხორციელებულია საჭიროების დასაბუთების გარეშე, არაერთგვაროვანი მიდგომით და საბაზრო ფასებთან შეუსაბამოდ. შედეგად, შესაძლოა, შპს-ის მიერ ფულადი სახსრები არარაციონალურად დაიხარჯა;
- შპს „სარაგბო კლუბ ბათუმის“ სპორტსმენთა საჭიროებისათვის კვების პროდუქტების შეძენა წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დგინდება. ამასთანავე, გასვლითი კალენდარული მატჩის ჩატარებისათვის, გუნდის უცხოეთში მგზავრობის მომსახურების შესყიდვა, ნაცვლად ელექტრონული ტენდერისა, განხორციელდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ხოლო მიმწოდებლისთვის გადახდილ თანხაზე სრულად არ არის წარმოდგენილი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- შპს „დინამო ბათუმის“ საწესდებო კაპიტალში შეტანილი, მერიის მიერ აშენებული, ანგისის დასახლებაში არსებული სპორტული ბაზის შენობა დაზიანებულია, თუმცა როგორც შპს-მ, ასევე ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ, ვერ უზრუნველყო დაზიანების გამომწვევი მიზეზების შესწავლა და ზიანის ოდენობის განსაზღვრა. ასევე პასუხისმგებელი პირების მიმართ არ არის გატარებული შესაბამისი ღონისძიებები შესაძლო ზიანის ასანაზღაურებლად;
- შპს „სტადიონის“ მიერ ქალაქ ბათუმში, 170-საწოლიანი, მრავალპროფილური კლინიკური საავადმყოფოს შენობის სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს ხელშეკრულების პირობების დარღვევით. სამშენებლო სამუშაოების დასრულების ვადა – 2018 წლის 18 მაისი, არერთხელ შეიცვალა და მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო ვადად განისაზღვრა 2018 წლის 31 დეკემბერი, სამუშაოები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითაც დაუსრულებელია. ამასთანავე, მხარეებს შორის გაფორმებული შეთანხმებით, შემცირებულია პირგასამტეხლოს სახით დასარიცხავი თანხის განაკვეთი და ოდენობა, რითაც შპს-მ დაკარგა დამატებითი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა.



## რეკომენდაციები

აჭარის ავტონომიური  
რესპუბლიკის ფინანსთა და  
ეკონომიკის სამინისტროს:  
აჭარის ავტონომიური  
რესპუბლიკის  
ჯანმრთელობისა და  
სოციალური დაცვის  
სამინისტროს:  
ქალაქ ბათუმის მერიას:

ავტონომიური რესპუბლიკის  
ჯანმრთელობისა და  
სოციალური დაცვის  
სამინისტროს:

ქალაქ ბათუმის მერიას:

ქალაქ ბათუმის მერიას:

### რეკომენდაცია N1.

შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა დანერგონ ისეთი კონტროლის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფო საწარმოებში ეფექტიან ზედამხედველობას; მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს არამომგებიან და არაუფუქციონირებად საწარმოებზე, დაისახოს და განხორციელდეს კონკრეტული ღონისძიებები მათი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით, მათ შორის, შემოსავლების ახალი წყაროების მოძიების და ხარჯების შემცირების უზრუნველსაყოფად. ასევე მიზანშეწონილია, დამფუძნებლებმა იმსჯელონ არამომგებიანი და უფუქციო საწარმოების ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის, შერწყმის ან პრივატიზაციის თაობაზე. ამასთანავე, განსაზღვრონ შესაბამისი პასუხისმგებელი პირები და გაატარონ ქმედითი ღონისძიებები შპს-ებში ფინანსური მდგომარეობის გაუარესების, გადახდისუუნარობის და გაკოტრების წარმოშობის მიზეზებთან დაკავშირებით.

### რეკომენდაცია N2.

საზოგადოების საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამინისტრომ, როგორც მმართველმა, უზრუნველყოს შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში“, მედიკამენტებისა და კვლევის ნაწილში, საოპერაციო ზარალის გამომწვევი მიზეზების შესწავლა და მიყენებულ ზარალთან დაკავშირებით შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს სამართლებრივი ღონისძიებები.

### რეკომენდაცია N3.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ, შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ერთად, განიხილოს ველოსიპედების მომსახურებიდან მიღებული უარყოფითი ფინანსური შედეგის გამომწვევი მიზეზები და კანონშესაბამისი არსებობის პირობებში გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები. ამასთანავე, იმსჯელონ, ველოსიპედის და მისი ტერმინალის მომსახურებისათვის კომპანია Smoove-ზე დაუსაბუთებლად გადახდილი თანხის აუცილებლობის და მიზანშეწონილობის საკითხი და მომხმარებლების ინტერესების გათვალისწინებით, მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილება, ხოლო შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ ხელმძღვანელობამ შეიმუშაოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს შპს-ის ფინანსური შედეგების გაუმჯობესებას.

### რეკომენდაცია N4.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ, როგორც პარტნიორმა, შპს „ბათუმის წყლის“ ხელმძღვანელობასთან ერთად, შეისწავლოს კომპანიაში არსებული წყლის დანაკარგების, მომხმარებლების ქსელზე დაერთების სალიცენზიო პირობების დარღვევის და აბონენტების მიერ სწრაფი გადახდის აპარატებით გადახდილი თანხების კომპანიის ანგარიშზე დაგვიანებით დაბრუნების გამომწვევი მიზეზები და არაობიექტური გარემოების არარსებობის პირობებში, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს სამართლებრივი ღონისძიებები. ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს წლების განმავლობაში ამ სექტორში განხორციელებული მნიშვნელოვანი ინვესტიციების ეფექტიანობის შესწავლას, რომელმაც ვერ უზრუნველყო რესურსების დანაკარგების ადეკვატური ეკონომია. ამასთანავე, მეორე მხრივ, დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომელიც დროულად გამოავლენს ხარვეზებს, მაქსიმალურად ხელს შეუწყობს და გააუმჯობესებს შპს-ის ფინანსურ მდგომარეობას, რაც ადგილობრივ ბიუჯეტში დივიდენდის სახით დამატებითი შემოსავლის მიღების ერთ-ერთი საფუძველია.

შპს „სალიხ აბაშიძის  
ინფექციური პათოლოგიის,  
შიდსის და ტუბერკულოზის  
ცენტრს“;  
შპს „ქ. ბათუმის  
რესპუბლიკურ კლინიკურ  
საავადმყოფოს“;

ქალაქ ბათუმის მერიას;

ქალაქ ბათუმის მერიას:  
აჭარის ავტონომიური  
რესპუბლიკის  
ჯანმრთელობისა და  
სოციალური დაცვის  
სამინისტროს;

შპს „ბათუმის  
ავტოტრანსპორტს“;

შპს „სანდასუფთავებას“;

#### რეკომენდაცია N5.

შპს „სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის ცენტრის“ და შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ გატარდეს ქმედითი ღონისძიებები, რომ უსაყიდლოდ გადმოცემული აქტივები აღებულ იქნეს საზოგადოების შემოსავალში, რითაც გაიზრდება საზოგადოების კაპიტალი.

#### რეკომენდაცია N6.

ქალაქ ბათუმის მერიამ, შპს „ბათუმის წყლის“ და შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ პასუხისმგებელ პირებთან ერთად შეისწავლოს დებიტორული დავალიანების უსაფუძვლოდ ჩამოწერის გამომწვევი მიზეზები და პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები. ამასთანავე, უზრუნველყონ დაუსაბუთებლად ჩამოწერილი დავალიანების ფინანსურ ანგარიშგებაში აღდგენა.

#### რეკომენდაცია N7.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, მათ მიერ დაფუძნებულ საწარმოებში დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც დროულად და სრულად გამოავლენს შრომის ანაზღაურების გაცემაში არსებულ ხარვეზებს, ხელს შეუწყობს დასაქმებულთა თანასწორუფლებიანობის პირობებში შრომის ანაზღაურების გაცემას და კომპანიების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამასთანავე, განიხილონ შესაბამისი დადასტურების გარეშე შპს „ბათუმის წყლის“ მიერ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურებისთვის გაწეული ხარჯის, შპს „სარაგბო კლუბ ბათუმი“ კვალიფიკაციის დამადასტურებელი მტკიცებულების გარეშე თანამშრომელთა დასაქმების, შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ და შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ დირექტორების მიერ შპს-ის წესდების შეუსაბამოდ გაცემული შრომის ანაზღაურების გამომწვევი მიზეზები და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

#### რეკომენდაცია N8.

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა, იმსჯელონ, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის წესების დარღვევით შპს-ზე მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით დაგვიანებით განხორციელებულ რეაგირებაზე და პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატარონ სათანადო ღონისძიებები. ამასთანავე, შეიმუშაონ ისეთი შიდა კონტროლის მექანიზმები, რომლებიც შემდგომში აღმოფხვრის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის წესების დარღვევის და შპს-ზე ზიანის მიყენების ფაქტებს და უზრუნველყოფს მგზავრთა და ქვეითთა უსაფრთხოებას.

#### რეკომენდაცია N9.

ხელმძღვანელობამ, პარტნიორთან შეთანხმებით, გონივრულ ვადაში განიხილოს უსაყიდლოდ, თხოვების ფორმით მიღებული ავტომანქანების სამსახურებრივი საჭიროებისათვის გამოყენების და საწვავის ხარჯვის მიზანშეწონილობის მდგომარეობა. ამასთანავე, შპს „სანდასუფთავების“ და შპს „დინამო ბათუმის“ ხელმძღვანელობამ შეისწავლოს ბალანსზე რიცხულ სატრანსპორტო საშუალებებზე გავლილი მანძილის და დადგენილი ნორმის შეუსაბამოდ საწვავის ჩამოწერის გამომწვევი მიზეზები და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.



შპს „ბათუმის წყალს“:

შპს „სარაგბო კლუბ ბათუმს“:

აჭარის ავტონომიური  
რესპუბლიკის ფინანსთა და  
ეკონომიკის სამინისტროს:  
აჭარის ავტონომიური  
რესპუბლიკის  
ჯანმრთელობისა და  
სოციალური დაცვის  
სამინისტროს:

შპს „სარაგბო კლუბ ბათუმს“:

შპს „ბათუმის წყალს“:

აჭარის ავტონომიური  
რესპუბლიკის ფინანსთა და  
ეკონომიკის სამინისტროს:

შპს „სარაგბო კლუბ ბათუმს“:

**რეკომენდაცია N10.**

ხელმძღვანელებმა, პარტნიორთან შეთანხმებით, ზედმეტად ანაზღაურებულ თანხებზე განსაზღვრონ პასუხისმგებელი პირები, არაობიექტური მიზეზების არსებობის პირობებში, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატარონ ქმედითი ღონისძიებები და უზრუნველყონ გამოუყენებელი თანხის დაბრუნება. ამასთანავე, დანერგონ ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ფულადი სახსრების შპს-ის ინტერესების გათვალისწინებით ხარჯვას.

**რეკომენდაცია N11.**

სამინისტრომ, როგორც მმართველმა, შპს „სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის ცენტრის“ და შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს“ ხელმძღვანელებთან ერთად, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატარონ ღონისძიებები საზოგადოებაზე მიყენებულ ფინანსურ ზარალთან დაკავშირებით. ამასთანავე, შეიმუშაოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს შპს-ის ფინანსური შედეგების გაუმჯობესებას.

**რეკომენდაცია N12.**

კლუბის ხელმძღვანელობამ განიხილოს მიმწოდებლის მიერ მომსახურების განუხორციელებლობის პირობებში თანხის გადახდის გამომწვევი მიზეზები და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს ქმედითი ღონისძიებები, ასევე უზრუნველყოს გამოუყენებელი თანხის დაბრუნება.

**რეკომენდაცია N13.**

შპს „ბათუმის წყალმა“, ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და საკუთარი სახსრების ეკონომიურად ხარჯვის მიზნით, შესყიდვის დაგეგმვის და განხორციელების ეტაპზე, დანერგოს ეფექტიანი კონტროლის მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს ფულადი სახსრების რაციონალურად ხარჯვას. ამასთანავე, შეისწავლოს ელექტრონული ტენდერის გარეშე, სატრანსპორტო საშუალების ვიზუალისთვის ხარჯების გაწევის მიზანშეწონილობა და არაობიექტური პირობების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს სათანადო ღონისძიებები.

**რეკომენდაცია N14.**

სამინისტრომ, როგორც პარტნიორმა, განიხილოს შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის“ და შპს „სავაჭრო ცენტრ 2009“-ის მიერ, ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გარეშე, მიმწოდებელზე ჯამში 83,453 ლარის გადახდის გამომწვევი მიზეზები, მიმწოდებლებისაგან მოითხოვოს შესაბამისი მტკიცებულებები და დაადგინოს ფაქტობრივად გაწეული ხარჯების ოდენობა, შეუსაბამობის არსებობის პირობებში, უზრუნველყოს ზედმეტად გადახდილი თანხების შპს-ის ანგარიშზე დაბრუნება და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

**რეკომენდაცია N15.**

შპს „სარაგბო კლუბ ბათუმის“ ხელმძღვანელობამ, პარტნიორთან შეთანხმებით, განიხილოს საცხოვრებელი ბინების დაქირავებისათვის გაწეული ხარჯების მიზანშეწონილობა; არაობიექტური გარემოებების არსებობის შემთხვევაში, განსაზღვროს ბინების დაქირავებაზე პასუხისმგებელი პირები და გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები. ამასთანავე, შეიმუშაოს ისეთი

კრიტერიუმები და ინდიკატორები, რაც უზრუნველყოფს სპორტსმენებისათვის საცხოვრებელი ფართის დაქირავების საჭიროებებისა და ხარჯების გაწევის მიზანშეწონილობის დადგენას.

**ქალაქ ბათუმის მერიას:**

**რეკომენდაცია N16.**

მერიამ, შპს „ბათუმის სარაგბო კლუბის“ ხელმძღვანელობასთან ერთად, გამოიკვლიოს მიმწოდებლის მიერ გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენილობის მიზეზები, აღნიშნულ პირობებში მიმწოდებელზე თანხის გადახდის მოტივი და საფუძველი. ამასთანავე, არაობიექტური მიზეზების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს ქმედითი ღონისძიებები და უზრუნველყოს კლუბის ინტერესებისათვის გამოუყენებელი თანხის დაბრუნება.

**ქალაქ ბათუმის მერიას:**

**რეკომენდაცია N17.**

მერიის ხელმძღვანელობამ შეისწავლოს ანგისის დასახლებაში არსებული სპორტული ბაზის შენობის დაზიანების და არსებული ხარვეზების გამოუსწორებლობის გამომწვევი მიზეზები და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები. ამასთანავე, მერიამ გაატაროს ქმედითი ღონისძიებები, რათა დროულად გამოსწორდეს სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის მიერ არსებული დაზიანებები.

**აჭარის ავტონომიური  
რესპუბლიკის ფინანსთა და  
ეკონომიკის სამინისტროს:**

**რეკომენდაცია N18.**

სამინისტრომ, შპს „სტადიონის“ ხელმძღვანელობასთან ერთად, განიხილოს ქალაქ ბათუმში 170-საწოლიანი, მრავალპროფილური კლინიკური საავადმყოფოს შენობის სამშენებლო სამუშაოების ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შეუსრულებლობის და პირგასამტეხლოს დაუკისრებლობის გამომწვევი მიზეზები და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

## 1. შესავალი

### ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, ასევე აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განხრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამოებებს.

### აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, საზოგადოებების მიერ განხორციელებული საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, გონივრული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშესაბამოებების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

### აუდიტის საგანი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის წილობრივად მოქმედ საწარმოებში საწესდებო კაპიტალის ფორმირებისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის 2017-2018 წლების შესაბამისობის აუდიტი.

### აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა 2017-2018 წლებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული (არსებული) 49 ერთეული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საწესდებო კაპიტალის ფორმირებისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

### აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს „შრომის კოდექსი“;
- საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;

- საქართველოს კანონი – საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“;
- საქართველოს კანონი – ნარჩენების მართვის კოდექსი;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 29 ოქტომბრის N1-1/1732 ბრძანება „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვის წესის დამტკიცების თაობაზე“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის N19 ბრძანება „შავი სიის წარმოების წესის და პირობების დამტკიცების თაობაზე“;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის N40 ბრძანება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის N36 ბრძანება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ლიკვიდაციის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის N159 დადგენილება „მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების და დამუშავების წესის შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის N644 ბრძანება „სახელმწიფო სექტორში რისკის მართვის სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე“;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის წილობრივად მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების წესდებები.

## აუდიტის მიზანი

- ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შეესაბამება აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

## აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- აუდიტის ობიექტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი;
- მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების შესწავლა და ანალიზი;
- ინტერვიუები აუდიტის ობიექტის თანამშრომლებთან და ფოკუსჯგუფებთან;
- სხვა დაწესებულებებიდან მიღებულ მონაცემთა ანალიზი.



## ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. შპს-ის მიზანია მოგების მიღება, უმაღლესი მართვის ორგანოა – პარტიორთა კრება, რომლის ფუნქციას ახორციელებს 50%-ზე მეტი წილის მფლობელი და მმართველი პარტიორები:

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ცხრილი N1. ავტონომიური რესპუბლიკისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მმართველობაში არსებული საზოგადოებები

| რიგითი<br>ნომერი | წილის მმართველი                                                             | რაოდენობა |
|------------------|-----------------------------------------------------------------------------|-----------|
| 1.               | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო            | 31        |
| 2.               | ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია                                         | 13        |
| 3.               | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | 5         |
| <b>ჯამი:</b>     |                                                                             | <b>49</b> |

საზოგადოებების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ერთპიროვნულად ევალუა დირექტორს. საწესდებო ამოცანების შესრულებისათვის შპს-ს უფლება აქვს დადოს გარიგებანი, შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, იკისროს ვალდებულებები, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში.

## 2. აუდიტის მიგნებები

### 2.1 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების მართვაში არსებული ნაკლოვანებები

**კრიტერიუმი:** მეწარმე სუბიექტის რეგისტრაცია უნდა ხორციელდებოდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეშვეობით/ან მიერ, ხოლო საზოგადოების პარტნიორის წილზე საკუთრების უფლება და მასთან დაკავშირებული ვალდებულება წარმოშობილად, შეცვლილად ან შეწყვეტილად უნდა ჩაითვალოს მისი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.<sup>1</sup>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ „საკუთრებაში არსებული წილის მართვის უფლებით გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულებით,<sup>2</sup> მეწარმე სუბიექტმა უნდა უზრუნველყოს საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების წარმოება და დავალიანების დაფარვა.

**გარემოება:** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საზოგადოებების რაოდენობა შეადგენს 49 ერთეულს, მათ შორის, 14 შპს-ის ფინანსური შედეგი დასრულებულია ზარალით, 7 შპს არ ფუნქციონირებს, ხოლო 10 შპს-ზე მიმდინარეობს ლიკვიდაციის გადახდისუუნარობის საქმის წარმოება. წარმოდგენილი დოკუმენტებით და განხორციელებული აუდიტორული პროცედურებით ირკვევა, რომ შპს-ის ხელმძღვანელი პირების მიერ არ ტარდებოდა შესაბამისი ღონისძიებები ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების, შემოსავლების წყაროების მოძიების და ხარჯების შემცირების უზრუნველსაყოფად. ამასთანავე, დამფუძნებლების მიერ არ განხორციელებულა სათანადო მენეჯერული მართვა და შპს-ის საქმიანობაზე შესაბამისი ზედამხედველობა. შედეგად, დადგა საზოგადოების გადახდისუუნარობის, გაკოტრების და ზიანის წარმოშობის წინაპირობა, კერძოდ:

#### ■ ფინანსური შედეგი დასრულებულია ზარალით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების 2017-2018 წლების ფინანსური ანგარიშგებების შესწავლით ირკვევა, რომ 49 შპს-დან, 12 შპს-ს ფინანსური შედეგი დასრულებულია ზარალით.

ცხრილი N2. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, რომლებსაც ფინანსური შედეგი დასრულებული აქვთ ზარალით (ლარი)

| N  | სახელწოდება                   | 2017       |         |         | 2018       |           |         |
|----|-------------------------------|------------|---------|---------|------------|-----------|---------|
|    |                               | შემოსავალი | ხარჯი   | ზარალი  | შემოსავალი | ხარჯი     | ზარალი  |
| 1. | შპს „გაზეთი აჭარა და ადჟარია“ | 274,798    | 264,022 | -       | 254,213    | 257,989   | 3,776   |
| 2. | შპს „სტადიონი“                | 1,153,389  | 268,061 | -       | 466,249    | 848,158   | 381,909 |
| 3. | შპს Goderdzi Resorts          | 330,175    | 693,210 | 363,035 | 269,881    | 767,201   | 497,320 |
| 4. | შპს „პიგიენა 2009“            | 347,003    | 140,742 | -       | 500,108    | 1,003,162 | 503,054 |
| 5. | შპს „აჭარავტო“                | 1,461      | 13,874  | 12,413  | 2,732      | 55,092    | 52,360  |

<sup>1</sup> საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“, მუხლები 4 და 5<sup>1</sup>.

<sup>2</sup> ნომერი არა აქვს, 03.04.2015 წ.

|              |                                                              |                   |                   |                  |                   |                   |                  |
|--------------|--------------------------------------------------------------|-------------------|-------------------|------------------|-------------------|-------------------|------------------|
| 6.           | შპს „ბათუმის<br>ნავსაყუდელი 2015“                            | 75,958            | 48,920            | -                | 149               | 28,168            | 28,019           |
| 7.           | შპს „ქ. ბათუმის<br>რესპუბლიკური<br>კლინიკური<br>საავადმყოფო“ | 7,627,891         | 8,112,187         | 484,297          | 7,458,964         | 8,238,167         | 779,203          |
| 8.           | შპს „საკალათბურთო<br>კლუბი ბათუმი -<br>2010“                 | 684,010           | 675,773           | -                | 750,255           | 758,126           | 7,871            |
| 9.           | შპს „ფრენბურთის<br>კლუბი ბათუმი“                             | 101,023           | 101,048           | 25               | 122,616           | 122,495           | -                |
| 10.          | შპს „წყალბურთის<br>კლუბი ბათუმი“                             | 130,668           | 130,837           | 169              | 152,031           | 152,246           | 215              |
| 11.          | შპს „ბათუმის<br>ავტოტრანსპორტი“                              | 12,175,133        | 16,482,760        | 4,307,627        | 13,171,834        | 16,603,313        | 3,431,479        |
| 12.          | შპს „ბათუმის<br>სასწრაფო<br>სამედიცინო<br>დახმარების ცენტრი“ | 2,836,900         | 3,063,378         | 226,478          | 2,602,659         | 2,733,957         | 131,298          |
| <b>ჯამი:</b> |                                                              | <b>25,738,409</b> | <b>29,994,812</b> | <b>5,394,044</b> | <b>25,751,691</b> | <b>31,568,074</b> | <b>5,816,504</b> |

როგორც წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, 12 შპს-ზე მიყენებულმა ფინანსურმა ზარალმა 2017 წელს შეადგენა 5,394,044 ლარი, ხოლო 2018 წელს – 5,816,504 ლარს, სულ ჯამში – 11,210,548 ლარი, რაც ძირითადად განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

- შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ სამედიცინო მომსახურების სრულყოფის, სამედიცინო სტანდარტში გადახარჯვების შემცირების, სამედიცინო დაწესებულების ფინანსური რისკის დროული შეფასებისა და მართვის, ასევე არასამედიცინო დანიშნულების საქონლის და მომსახურების შეძენის ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით, საზოგადოების დირექტორის ბრძანებით,<sup>3</sup> დამტკიცებულია ცალკეული ნოზოლოგიისათვის სამედიცინო მომსახურების კალკულაცია, სადაც განსაზღვრულია პირდაპირი ხარჯები, არაპირდაპირი ხარჯები, გაუთვალისწინებელი ხარჯი და დასაბეგრი მოგება. ყველა ხარჯის გათვალისწინებით, მოგების საშუალო პროცენტული მაჩვენებელი განსაზღვრულია 5-9%-ის ფარგლებში. საავადმყოფოს ფინანსური ანგარიშგებით ირკვევა, რომ ფაქტობრივად, პაციენტთა მკურნალობისათვის ხარჯვაში ნაჩვენებია ნოზოლოგიური კოდით გათვალისწინებულზე 781,488 ლარით<sup>4</sup> მეტი ღირებულების მედიკამენტების ხარჯვა, რამაც განაპირობა საოპერაციო ზარალი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პაციენტთა რაოდენობის შემცირების პირობებში, საავადმყოფოში დაუსაბუთებლად კვლავ გაზრდილია მედიკამენტების ხარჯი.

<sup>3</sup> ბრძანებები: N01-02/136 01.09.2015წ., N01-02/42 22.05.2017წ., N01-02/114 01.07.2015წ., N01-02/78 26.10.2017წ., N01-02/02 03.01.2018წ., N01-02/08 24.01.2018წ., N01-02/69 22.10.2018წ.

<sup>4</sup> 2017 წ. – 413 016 ლარი, 2018 წ. – 368 472 ლარი.

ცხრილი N3. შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ პაციენტთა მოძრაობა და გაწეული ხარჯები (ლარი)

| წელი         | პაციენტების რაოდენობა | შემოსავალი        | ხარჯი             | მათ შორის მედიკამენტების ხარჯი | მათ შორის ისტორიით მედიკამენტების გადახარჯვა (ზარალი) |
|--------------|-----------------------|-------------------|-------------------|--------------------------------|-------------------------------------------------------|
| 2016         | 61,525                | 7,701,817         | 8,561,115         | 1,974,692                      | 436,288                                               |
| 2017         | 63,293                | 7,627,890         | 8,112,187         | 2,053,758                      | 413,016                                               |
| 2018         | 61,047                | 7,458,964         | 8,238,167         | 2,132,168                      | 368,472                                               |
| <b>ჯამი:</b> | <b>185,865</b>        | <b>22,788,671</b> | <b>24,911,469</b> | <b>6,160,617</b>               | <b>1,217,776</b>                                      |

ამდენად, შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოს“ მიერ მედიკამენტების და კვლევის ნაწილში, 2017-2018 წლებში ნაჩვენებია ხარჯვაში და ჩამოწერილია დადგენილ ნორმებთან შედარებით 781,488 ლარით მეტი ოდენობის მედიკამენტები და შესაბამისად, გაზრდილია საოპერაციო ზარალი, ხოლო 2016 წლის მონაცემების გათვალისწინებით, ზარალი გაცილებით მეტია და ჯამში შეადგენს 1,217,776 ლარს. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, შესაძლოა მიზანმიმართულად გაიზარდა მედიკამენტების ჩამოწერის მიზნით მათი ხარჯვა, რაც წარმოშობს შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ არამართლზომიერი ქმედების რისკებს.

- შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ მიერ ველოსიპედების<sup>5</sup> მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი ვერ ფარავს ველოსიპედებისა და მათი ტერმინალების მომსახურებაზე გაწეულ ხარჯებს, კერძოდ, შპს-ის შემოსავლის ერთ-ერთი წყაროა ველოსიპედების/ტერმინალების მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი. წარმოდგენილი დოკუმენტებით, აუდიტის პერიოდში მიღებული შემოსავალი შეადგენს 131,010 ლარს, ხოლო გაწეული ხარჯი – 898,905 ლარს; მიღებულია ზარალი – 767,895 ლარი.<sup>6</sup> უნდა აღინიშნოს, რომ გაწეული ხარჯებიდან, მხოლოდ კომპანია Smoove-ზე (საფრანგეთი) გადახდილია შემოსავლის 83% (108,770 ლარი), ველოსიპედის მომსახურებაზე შრომის ანაზღაურებისათვის გადახდილია შემოსავლის 72% (94,272 ლარი), ხოლო ველოსიპედების რემონტზე გადახდილია შემოსავლის 18% (23,385 ლარი). საზოგადოების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი კომპანია Smoove-ზე (საფრანგეთი) გაფორმებული ხელშეკრულება ან/და სხვა მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ფაქტობრივად გადასახდელი თანხის ოდენობას. ამდენად, შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ ფინანსური ზარალი მხოლოდ ველოსიპედების მომსახურებიდან გაზრდილია 767,895 ლარით,<sup>7</sup> ხოლო ძირითად აქტივებზე დარიცხული ცვეთით<sup>8</sup> გაზრდილია შპს-ის ფინანსური ხარჯი, ჯამში 6,562,082 ლარით. ამასთანავე, კომპანია Smoove-სთან მომსახურების და სხვა ვალდებულებების დოკუმენტური დადასტურების გარეშე გადახდილია

<sup>5</sup> სულ ერიცხება 963,456 ლარის ღირებულების 369 ცალი ველოსიპედი, 38 ცალი – ტერმინალი და 616 – მომსახურების ჯიხური, ჯამში: 2,413,285 ლარის ღირებულების.

<sup>6</sup> ტერმინალების და ჯიხურის ცვეთა – 562,395 ლარი, ველოსიპედების ცვეთა – 110,083 ლარი.

<sup>7</sup> 2017 წელი – 440,709 ლარი, 2018 წელი – 327,186 ლარი.

<sup>8</sup> 2017 წელი – 3,949,845 ლარი, 2018 წელი – 1,830,749 ლარი, ჯამში: 5,780,594 ლარი.

108,770 ლარი, რაც წარმოშობს ფულადი სახსრების არამიზნობრივად ხარჯვის რისკებს.

- შპს „ჰიგიენა 2009“-ის მიერ მიღებული ფინანსური ზარალი ძირითადად გამოწვეულია შპს-ის მიერ 2018 წლამდე პერიოდში ბიუჯეტთან ანგარიშსწორების არასრულყოფილად განხორციელების გამო, მიმდინარე პერიოდში ხარჯების გაწევით. კერძოდ, ნაგავსაყრელის პოლიგონის მშენებლობისათვის, აქტივების შესყიდვასთან<sup>9</sup> დაკავშირებით, წინა პერიოდში გაცემულ კომპენსაციებზე, კუთვნილი სამემოსავლო გადასახადი 465,616 ლარი, დარიცხული და ხარჯებად აღიარებულია დაგვიანებით, 2018 წელს, ხოლო გადასახადის დროულად გადაუხდელობისათვის, დამატებით დარიცხულია საგადასახადო ჯარიმა – 149,937 ლარი. აღნიშნული ხარჯების გათვალისწინებით, გაზრდილია ფინანსური ხარჯი 615,553 ლარით.<sup>10</sup> აღნიშნული გარემოება შპს-ის ხელმძღვანელის და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ არასათანადოდ განხორციელებულ საქმიანობაზე მიუთითებს.
- შპს „დისკოს“ ძირითადი საქმიანობაა შერწყმული შპს-ის ქონების, დებიტორული და კრედიტორული მოთხოვნების მოძიება, ინვენტარიზაცია და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განკარგვა. შპს-ის 2017 წელს მიღებული არასაოპერაციო შემოსავალი შეადგენდა 8,657 ლარს,<sup>11</sup> ხოლო ძირითადი ხარჯები გაწეულია შრომის ანაზღაურებაზე – 22,712 ლარი, კომუნალური ხარჯი, აქტივების ცვეთა და სხვა ხარჯები, ჯამში – 4,815 ლარი და მიღებულია ზარალი – 17,070 ლარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წელს შპს-ის შემოსავალი გაზრდილია 529,515 ლარით, თუმცა შპს-ს ფულადი შემოსავალი მიღებული არ აქვს და შემოსავლის ზრდა განაპირობა შერწყმული შპს-ის ფინანსურ ანგარიშგებაში წინა პერიოდში არასწორად, დაუსაბუთებლად ასახული კრედიტორული დავალიანების გასწორებით. კერძოდ, სერტიფიცირებული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნით<sup>12</sup> და შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის შედარების აქტებით დადასტურებულია, რომ შპს-ს 2014-2016 წლებში ბალანსში არასწორად ერიცხებოდა ბიუჯეტის მიმართ კრედიტორული დავალიანების თანხა – 528,952 ლარი, რაც გასწორდა 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში და ვალდებულების ჩამოწერის ხარჯზე გაზრდილია ფინანსური შემოსავალი.

**▪ შპს-ები, რომლებსაც დამფუძნებლებთან არ აქვთ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება და არ ფუნქციონირებენ**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული 49 შპს-დან, აუდიტის პერიოდში 7 ერთეულ შპს-ს<sup>13</sup> (დაფუძნებულია 2000 წლამდე) დამფუძნებელთან არ აქვთ

<sup>9</sup> შესყიდვა განხორციელდა 2017 წლამდე პერიოდში.

<sup>10</sup> სულ ხარჯი – 1,003,162 ლარი, მათ შორის, სამემოსავლო გადასახადი – 465,616 ლარი, დამატებით დარიცხული საგადასახადო ჯარიმა – 149,937 ლარი, მოგების გადასადი – 115,116 ლარი, მოსახლეობის განსახლების გეგმის მომზადების ხარჯი – 73,305 ლარი, შრომის ანაზღაურება – 177,599 ლარი, მივლინება – 2,941 ლარი, აქტივების ცვეთის ხარჯი – 2,714 ლარი და სამეურნეო, საკანცელარიო და კომუნალური ხარჯები, ჯამში: 15,934 ლარი.

<sup>11</sup> ბანკში არსებულ თავისუფალ ფულად ნაშთზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი – 2,511 ლარი, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ქონების დაზიანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებიდან მიღებული შემოსავალი – 4,754 ლარი.

<sup>12</sup> შპს „პრესტიჟ-აუდიტი“, SARAS-F638067.

<sup>13</sup> შპს „ივერია P.S.“; შპს „სამკურნალო მცენარე“; შპს „ქობულეთის მეფრინველეობის საწარმოო გაერთიანება“; შპს „ლოტო-2000“; შპს „მინერალი“; შპს „საზღვრების ბლოკი“; შპს „აჭარის ვტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამშენებლო და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა“.



წარმოდგენილი 2017-2018 წლების ფინანსური ანგარიშგება და ინფორმაცია საწესდებო კაპიტალის ფორმირებაზე. დამფუძნებლები არ ფლობენ სრულ ინფორმაციას შპს-ში ფაქტობრივად არსებული აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ, წარმოდგენილი დოკუმენტებით, შპს-ები ფაქტობრივად არ ფუნქციონირებენ, ხოლო მათ შორის 3 შპს-ის არსებობის შესახებაც კი არა აქვთ ინფორმაცია, კერძოდ:

- შპს „მინერალის“ და შპს „საზღვრების ბლოკის“ დამფუძნებელი და პარტნიორია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ხოლო შპს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამშენებლო და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის“ დამფუძნებელი პარტნიორია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. დამფუძნებლებს არ ჰქონდათ ინფორმაცია შპს-ის არსებობის შესახებ, თუმცა საჯარო რეესტრის მონაცემებით, შპს-ები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოებია. შპს-ების ფუნქციონირებაზე რწმუნების მისაღებად, აუდიტის პერიოდში საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ იურიდიულ მისამართებზე ფიზიკურად იქნა მოძიებული/დათვალიერებული მითითებული ობიექტები,<sup>14</sup> თუმცა რეგისტრირებულ მისამართებზე შპს-ები ვერ მოიძებნა.
- შპს „ქობულეთის მეფრინველეობის საწარმოო გაერთიანებას“ დაფუძნების ეტაპზე (1998 წ.) ერიცხებოდა 30 დასახელების 205.960 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალება, 43 დასახელების 42,500 ლარის ღირებულების მანქანა-დანადგარები, აგრეთვე დაუმთავრებელი ჩაის გადამამუშავებელი აგრეგატი – 948 ლარის ღირებულების. ფიზიკური დათვალიერებით იურიდიულ მისამართზე შპს არ ფუნქციონირებს, შენობა-ნაგებობები დაშლილია, ხოლო ბალანსზე რიცხული აქტივების ფაქტობრივი მდგომარეობა წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დგინდება. აქტივების დაზიანებებთან დაკავშირებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ მასალები გადაგზავნილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის აჭარის და გურიის სამმართველოებში.<sup>15</sup>
- შპს „ლოტო-2000“. აუდიტის პერიოდში განხორციელებული ფიზიკური დათვალიერებით, საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ იურიდიულ მისამართზე შპს ვერ მოიძებნა. დამფუძნებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, საზოგადოების ხელმძღვანელი არ იმყოფება საქართველოში, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დგინდება შპს-ზე რეგისტრირებული აქტივების და ვალდებულებების მონაცემები. ამასთანავე, აქტივების განკარგვასთან დაკავშირებით, საწარმოს დამფუძნებლის მიმართვის საფუძველზე, ბათუმის საქალაქო სამმართველოში მიმდინარეობს გამოძიება.<sup>16</sup>
- შპს „ივერია P.S“. აუდიტის პერიოდში განხორციელებული ფიზიკური დათვალიერებით, საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ იურიდიულ მისამართზე შპს ვერ მოიძებნა. წარმოდგენილი დოკუმენტებით, ვერ

<sup>14</sup> შპს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამშენებლო და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა“ – ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის გამზირი N34; შპს „მინერალი“; ქ. ბათუმი, ტ. აბუსერიძის ქ N3; შპს „საზღვრების ბლოკი“, ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6.

<sup>15</sup> 28.02.2018 წ. წერილი N01-01-10/861.

<sup>16</sup> საქმე N17105984.



დგინდება შპს-ებზე რეგისტრირებული აქტივების და ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე აქტივების ფაქტობრივი მდგომარეობა. დამფუძნებლის წერილობითი ინფორმაციით, 2019 წლიდან მიმდინარეობს აქტივების მოძიების, ქონების არარსებობით მიყენებული ზარალის და დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების განსაზღვრის პროცედურები, თუმცა აუდიტის პერიოდში არ არის დასრულებული, რაც დამფუძნებლების არასათანადო მენეჯერულ მართვასა და შპს „ივერია P.S.“ შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ აქტივების არამართლზომიერად განკარგვა-გამოყენების რისკზე მიუთითებს.

▪ **შპს-ების ლიკვიდაციის და გადახდისუნარიობის საქმის წარმოება**

წარმოდგენილი დოკუმენტებით და აუდიტორული პროცედურებით ირკვევა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული 49 შპს-დან, საწარმოების ხელმძღვანელების მიმართვის და სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, 10 შპს-ზე 2012-2017 წლებში დაწყებულია ლიკვიდაციის გადახდისუნარიობის საქმის წარმოება და საქმე გადაცემულია აღსრულების ეროვნულ ბიუროში.

**ცხრილი N4. გადახდისუნარიობის საქმის წარმოების სტატუსით არსებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები (ლარი)**

| საწარმოს სახელწოდება                                | გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების დრო | გაკოტრების საქმის წარმოებით რიცხული აქტივები და პასივები |                                          |                        |                          |                         | კრედიტორული ბისათვის შესაძლო ზიანი |
|-----------------------------------------------------|------------------------------------------|----------------------------------------------------------|------------------------------------------|------------------------|--------------------------|-------------------------|------------------------------------|
|                                                     |                                          | მატერიალური აქტივების ღირებულება ბალანსით                | მატერიალური აქტივის ღირებულება შეფასებით | დებიტორული დავალიანება | სულ აქტივების ღირებულება | კრედიტორული დავალიანება |                                    |
| შპს „აჭარის სისხლის გადასხმის რესპუბლიკური სადგური“ | 18.12.2015                               | 587                                                      | 500                                      | 28,843                 | 29,343                   | 66,684                  | 37,341                             |
| შპს „აჭარმშენტრანსი“                                | 24.02.2017                               | 28,099                                                   | 2,000                                    | 6,468                  | 8,468                    | 240,531                 | 232,063                            |
| შპს „ტყის ნობათი“                                   | 31.03.2015                               | 13,434                                                   | 500                                      | -                      | 500                      | 482,170                 | 481,670                            |
| შპს „ბათუმის გემთსაშენი ქარხანა“                    | 12.08.2016                               | 219,000                                                  | -                                        | 1,454,725              | 1,454,725                | 3,330,760               | 1,876,035                          |
| შპს „კეთილმოწყობა“                                  | 03.11.2015                               | 3,802                                                    | 5,662                                    | 35,745                 | 41,407                   | 74,023                  | 32,616                             |
| შპს „ციხისძირი“                                     | 14.07.2015                               | 12,500                                                   | -                                        | 2,395                  | 2,395                    | 108,600                 | 106,205                            |
| შპს „ბათუმის თამბაქოს კომბინატი“                    | 09.09.2016                               | 438                                                      | 950                                      | 817,083                | 818,033                  | 3,145,152               | 2,327,11                           |
| შპს „აგროსატყო მეურნეობა“                           | 21.08.2015                               | 1,319                                                    | 70                                       | -                      | 70                       | 133,973                 | 133,903                            |
| შპს „ბერძენი“                                       | 18.09.2012                               | 6,955                                                    | 13,700                                   | 29,009                 | 42,709                   | 237,276                 | 194,567                            |
| შპს „ჭარნალის მეურნეობა“                            | 24.06.2013                               | 4,005                                                    | 12,456                                   | 24,599                 | 37,055                   | 295,029                 | 257,974                            |
| <b>ჯამი:</b>                                        |                                          | <b>290,139</b>                                           | <b>35,838</b>                            | <b>2,398,867</b>       | <b>2,434,705</b>         | <b>8,114,198</b>        | <b>5,679,493</b>                   |

ცხრილში მითითებულ საწარმოებს ლიკვიდაციის გადახდის უუნარობის საქმის წარმოების დაწყებამდე, საბალანსო მონაცემებით ჯამურად ერიცხებოდათ 290,139 ლარის ღირებულების ინვენტარი და სხვა მატერიალური აქტივები, როგორებიცაა: კომპიუტერული ტექნიკა, ელექტრომოწყობილობები, ავტოსატრანსპორტო საშუალებები,<sup>17</sup> წყლის რეზერვუარი და სხვ. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, აღსრულების უზრუნველსაყოფად, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ განმეორებით განხორციელდა აქტივების რეალური ღირებულების შეფასება. შედეგად დადგინდა, რომ აქტივების ღირებულება შეადგენს 35,838 ლარს. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ საწარმოების დებიტორული დავალიანება 2,398,867 ლარია, რომლის გათვალისწინებით, სულ აქტივების ღირებულება შეადგენს 2,434,705 ლარს, თუმცა ამავე პერიოდში შპს-ებს ერიცხებათ 8,114,198 ლარის ვალდებულებები, რომლებიც, ძირითადად, წარმოშობილია 1995-2012 წლებში.<sup>18</sup> აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ აქტივების სრულად რეალიზაციისა და დებიტორული დავალიანებების დაფარვის პირობებშიც კი ვერ მოხდება შპს-ების ვალდებულებების სრულად დაფარვა და სახელმწიფო ბიუჯეტზე მიყენებული<sup>19</sup> შესაძლო ზიანი იქნება 4,363,797 ლარი. აღნიშნული ძირითადად განპირობებულია იმით, რომ როგორც დამფუძნებლების, ისე საწარმოების ხელმძღვანელი პირების მიერ არ ტარდებოდა შესაბამისი ღონისძიებები ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების და ხარჯების შემცირების უზრუნველსაყოფად, რამაც შესაძლოა შპს-ების გაკოტრება და მათი აქტივების არამართლზომიერად განკარგვა/გამოყენება განაპირობა.

## დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების წილის მფლობელები შესაბამის ზედამხედველობას არ უწევდნენ შპს-ის საქმიანობას, არ ტარდებოდა შესაბამისი მმართველობითი ღონისძიებები. შედეგად, 14 ერთეულ შპს-ს ფინანსური შედეგი დასრულებული აქვს 5,816,504 ლარის ზარალით, 7 შპს არ ფუნქციონირებს და მათ საკუთრებაში არსებული აქტივების ძირითად ნაწილზე მიმდინარეობს სამართლებრივი პროცედურები, მათ შორის, 3 შპს-ის დამფუძნებლებს არ ჰქონდათ ინფორმაცია მათი არსებობის შესახებ, თუმცა საჯარო რეესტრის მონაცემებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოებია. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მმართველობაში მყოფი, ჯამში 10 შპს-ის ფინანსური შედეგების გაუარესების თავიდან აცილების და მათი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ არ გატარდა კონკრეტული ღონისძიებები. შედეგად, დადგა გადახდის უუნარობის და გაკოტრების, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტზე 4,363,797 ლარის შესაძლო ზიანის წარმოშობის წინაპირობა.

## რეკომენდაცია N1.

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს:**

შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა დანერგონ ისეთი კონტროლის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფო საწარმოებში ეფექტიან ზედამხედველობას. მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს არამომგებიან და არაფუნქციონირებად საწარმოებზე, დაისახოს და განხორციელდეს კონკრეტული ღონისძიებები მათი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების

<sup>17</sup> KAMAZ 511, GAZ3110, VAZ21213.

<sup>18</sup> ბიუჯეტის წინაშე წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები – 6,798,503 ლარი, თანამშრომელზე გასაცემი შრომის ანაზღაურება – 396,284 ლარი, სხვადასხვა მიმწოდებლებზე (სს „აჭარგაზი“; შპს „სანდასუფთავება“; შპს „ბათუმის სამშობიარო სახლი“; შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“; შპს „ბათუმის წყალი“; შპს „აჭარის ელექტროკავშირი“ და სხვ.) გადასახდელი დავალიანებები – 919,411 ლარი.

<sup>19</sup> 6,798,503-2,434,705=4,363,798 ლარი.

აჭარის ავტონომიური  
რესპუბლიკის  
ჯანმრთელობისა და  
სოციალური დაცვის  
სამინისტროს:  
ქალაქ ბათუმის მერიას:

## რეკომენდაცია N2

ავტონომიური რესპუბლიკის  
ჯანმრთელობისა და  
სოციალური დაცვის  
სამინისტროს:

## რეკომენდაცია N3

ქალაქ ბათუმის მერიას:

მიმართულებით. მათ შორის, შემოსავლების ახალი წყაროების მოძიების და ხარჯების შემცირების უზრუნველსაყოფად. ასევე მიზანშეწონილია, დამფუძნებლებმა იმსჯელონ არამომგებიანი და უფუნქციო საწარმოების ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის, შერწყმის ან პრივატიზაციის თაობაზე. ამასთანავე, განსაზღვრონ შესაბამისი პასუხისმგებელი პირები და გაატარონ ქმედითი ღონისძიებები შპს-ებში ფინანსური მდგომარეობის გაუარესების, გადახდისუნარიობის და გაკოტრების წარმოშობის მიზეზებთან დაკავშირებით.

საზოგადოების საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამინისტრომ როგორც მმართველმა, უზრუნველყოს შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში“, მედიკამენტებისა და კვლევის ნაწილში, საოპერაციო ზარალის გამომწვევი მიზეზების შესწავლა და მიყენებულ ზარალთან დაკავშირებით, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს სამართლებრივი ღონისძიებები.

მერია, შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ შესაბამისი პასუხისმგებელ პირებთან ერთად განიხილოს ველოსიპედების მომსახურებიდან მიღებული უარყოფითი ფინანსური შედეგის გამომწვევი მიზეზები და კანონშესაბამიობის არსებობის პირობებში, გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები. ამასთანავე, იმსჯელოს ველოსიპედის და მისი ტერმინალის მომსახურებისათვის კომპანია Smoove-ზე დაუსაბუთებლად გადახდილი თანხის აუცილებლობის და მიზანშეწონილობის საკითხზე და მომხმარებლების ინტერესების გათვალისწინებით, მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, ხოლო შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ ხელმძღვანელობამ შეიმუშაოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს შპს-ის ფინანსური შედეგების გაუმჯობესებას.

## 2.2 შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებით არსებული ნაკლოვანებები

**კრიტერიუმი:** „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის<sup>20</sup> და დამფუძნებლის მიერ დამტკიცებული წესდების მიხედვით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიზანია მოგების მიღება. ამასთანავე, საზოგადოებას უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით, განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება კანონს.

**გარემოება N1:** შპს „ბათუმის წყლის“ შემოსავლის ძირითადი წყაროა მომხმარებლებზე მიწოდებული წყლის და წყალარინების ქსელით გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი. წარმოდგენილი დოკუმენტებით, საზოგადოების მიერ 2017-2018 წლებში მოპოვებულია 77,557,565 კუბ.მ წყალი. მომხმარებლებზე მიწოდებად აღრიცხულია 24,040,724 კუბ.მ წყალი, ხოლო დანაკარგად ჩათვლილია 53,516,841 კუბ.მ წყალი. უნდა აღინიშნოს, რომ იმ პირობებში, როდესაც 2014 – 2018 წლებში ძირითადად განხორციელდა ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ცენტრალური მაგისტრალის და სატუმბო სადგურების რეაბილიტაცია და გახარჯულია 50,567,906 ევრო,<sup>21</sup> საზოგადოებაში წყლის დანაკარგის მოცულობა არსებითად არ არის შეცვლილი, რაც უარყოფით გავლენას ახდენს საზოგადოების ფინანსურ შედეგებზე<sup>22</sup> და ექვის ქვეშ აყენებს განხორციელებული ინვესტიციების ეფექტიანობას.

<sup>20</sup> პირველი მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>21</sup> 2013 წლამდე გახარჯულია 72,857,156 ევრო, ჯამში: სულ რეაბილიტაციისათვის გახარჯულია 123,425,062 ევრო.

<sup>22</sup> საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ შპს „ბათუმის წყლის“ ნორმატიული დანაკარგების ზღვარი დადგენილი არ არის.

ცხრილი N5. შპს „ბათუმის წყლის“ მიერ მოპოვებული წყლის დანაკარგები და რეაბილიტაციაზე გაწეული ხარჯები (ევრო)

| წელი         | მოპოვებული წყალი კუბ.მ | მიწოდებული კუბ.მ  | დანაკარგი          |    | რეაბილიტაციაზე გაწეული ხარჯი (ევრო) |
|--------------|------------------------|-------------------|--------------------|----|-------------------------------------|
|              |                        |                   | კუბ.მ              | %  |                                     |
| 2014         | 41,538,675             | 7,260,714         | 34,277,961         | 83 | 389,494                             |
| 2015         | 41,517,018             | 8,464,562         | 33,052,456         | 80 | 8,489,068                           |
| 2016         | 33,422,701             | 10,328,817        | 23,093,884         | 69 | 14,819,244                          |
| 2017         | 38,805,003             | 11,067,426        | 27,737,577         | 71 | 11,838,978                          |
| 2018         | 38,752,562             | 12,973,298        | 25,779,264         | 67 | 15,031,122                          |
| <b>ჯამი:</b> | <b>194,035,959</b>     | <b>50,094,817</b> | <b>143,941,142</b> |    | <b>50,567,906</b>                   |

**გარემოება N2.** შპს „ბათუმის წყლის“ და შპს „ენერჯი ინვესტი 2009“-ს შორის<sup>23</sup> 2017-2018 წლებში გაფორმებულია ხელშეკრულება<sup>24</sup> შპს „ბათუმის წყლის“ ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალების დაქირავებასთან დაკავშირებით. მხარეებს შორის შედგენილია მიღება-ჩაბარების აქტები, დადასტურებულია დაქირავებული ტექნიკით (ექსკავატორით) შესრულებული 97,750 ლარის<sup>25</sup> ღირებულების მომსახურება, რომელიც შპს „ენერჯი ინვესტი 2009“-ის მიერ გადახდილია შპს „ბათუმის წყალზე“ სრულად, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ აღნიშნული შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებით საზოგადოების მიერ გაწეულია 163,140 ლარის ხარჯი,<sup>26</sup> რაც 65,390 ლარით აღემატება მიღებულ შემოსავალს.

„ბათუმის წყლის“ ხელმძღვანელების განმარტებით, მათ არ იცოდნენ, რომ ტექნიკის ცვეთის/ამორტიზაციის ხარჯი უნდა გათვალისწინებულიყო საიჯარო ქირის დროს, რადგან იჯარის ფასი განსაზღვრულია იმ დროისათვის ტექნიკის დაქირავების ყოველდღიური ფასის გათვალისწინებით (საშუალოდ, დღეში 2017 წელს – 300-400 ლარის ფარგლებში, 2018 წელს – 400-500 ლარის ფარგლებში). აუდიტის ჯგუფის მიერ გამოვლენილი გარემოების შემდეგ, შპს-ის ხელმძღვანელებმა მოიჯარეს წერილობით მოსთხოვეს ცვეთის ხარჯის 65,390 ლარის ანაზღაურება, რაც აუდიტის მიმდინარეობისას, 2019 წელს დაბრუნებულია<sup>27</sup> საზოგადოების ანგარიშზე.

**გარემოება N3.** შპს „ბათუმის წყლის“ აბონენტებიდან გადასახდელების მიღებისათვის გასაწევ მომსახურებაზე, საზოგადოებასა და სს „ლიბერთი ბანკს“ შორის 2014 წელს გაფორმებული ხელშეკრულების<sup>28</sup> პირობებით, ბანკმა გადამხდელებისაგან (აბონენტები) მიღებული გადასახდელები საოპერაციო დღის ბოლოდან მომდევნო საოპერაციო დღის ბოლომდე უნდა ჩარიცხოს შპს „ბათუმის წყლის“ შესაბამის ანგარიშზე. ამასთანავე, გადახდილი თანხის ნაშთად არსებობის პირობებში, საზოგადოება იღებს სარგებლის სახით დამატებით შემოსავალს. აუდიტის პერიოდში, აბონენტების მიერ

<sup>23</sup> შპს „ენერჯი ინვესტი 2009“ დაქირავებული ტექნიკით სარგებლობდა ქედის და შუახევის მუნიციპალიტეტში გაზის მაგისტრალის მშენებლობისათვის მიწის სამუშაოების შესასრულებლად.

<sup>24</sup> 27.10.2017წ, 03.01.2018.

<sup>25</sup> 2017 წელი – 17,400 ლარი, 2018 წელი – 80,350 ლარი.

<sup>26</sup> შრომის ანაზღაურება – 16,151 ლარი, მიმდინარე რემონტი – 22,644 ლარი, საწვავ-საცხები მასალები – 83,083 ლარი, ცვეთა – 46,269 ლარი.

<sup>27</sup> გადამხდელები – შპს „ენერჯი ინვესტი 2009“, „თიბისი ბანკი“, საგადახდო დავალება N3904, 22.07.2019წ. – 65,390 ლარი.

<sup>28</sup> ხელშეკრულება გადასახდელების მიღების შესახებ, უნომრო, 19.03.2014 – ძალაშია ერთი წლის ვადით. ხელშეკრულება ითვლება გაგრძელებულად ყოველ ჯერზე იმავე ვადით, თუ მხარეებმა არ აცნობეს შეწყვეტასთან დაკავშირებით.



მომხმარებელი წყლის საფასური 2,158,564 ლარი,<sup>29</sup> გადახდილია სს „ლიბერთი ბანკის“ სწრაფი გადახდის სერვისის საშუალებით, რომელიც საზოგადოების მიერ აღიარებულია შემოსავლად. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ მომხმარებლების მიერ გადახდილი თანხიდან, 2017 წლის ივლისიდან 2018 წლის პირველ სექტემბრამდე<sup>30</sup> პერიოდში, სს „ლიბერთი ბანკის“ მიერ არ არის გადარიცხული შპს „ბათუმის წყლის“ ანგარიშზე, ჯამში – 800,792 ლარი. 2017-2018 წლებში, შპს-ის ანგარიშზე განთავსებული თანხიდან, გაუხარჯავ თავისუფალ ნაშთზე პროცენტის სახით იღებდა დამატებით შემოსავალს, ხოლო იმის გამო, რომ სს „ლიბერთი ბანკმა“ შპს „ბათუმის წყლის“ კუთვნილი თანხა 800,792 ლარი არ გადაუხადა შპს-ს, 2017-2018 წლებში თავისუფალ ნაშთზე სარგებლის სახით შპს „ბათუმის წყალმა“ ვერ მიიღო<sup>31</sup> ჯამში, არანაკლებ, 66,775 ლარის დამატებითი შემოსავალი. აღნიშნული გარემოება შესაბამისი პასუხისმგებელი პირების არაეფექტიან მმართველობაზე მიუთითებს და წარმოშობს ფულადი სახსრების არამართლზომიერი გამოყენების რისკებს.<sup>32</sup>

**გარემოება N4.** წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ შპს „ბათუმის წყლის“ მიერ, დაუსაბუთებლად, 45 შემთხვევაში დარღვეულია მარეგულირებელი კომისიის მიერ დამტკიცებული სალიცენზიო პირობები: დარღვევით განხორციელდა ელექტრონული ჟურნალის წარმოება, დადგენილ დროში არ განხორციელდა მომხმარებლების ქსელზე დაერთება. შედეგად, შპს-ის ხარჯებით, უსასყიდლოდ განხორციელდა მომხმარებელთა ქსელზე დაერთება. შედეგად, კომპანიამ მომხმარებლებიდან ვერ მიიღო 40,525 ლარის შემოსავალი.<sup>33</sup> წყალმომარაგების სისტემაზე ახალი მომხმარებლის მიერთებისას, მიერთების მსურველი (განმცხადებელი) ვალდებულია განაცხადის წარდგენამდე გადაიხადოს მიერთების საფასურის 50%, ხოლო დარჩენილი თანხა გადაიხადოს (თუ მხარეები წერილობით არ შეთანხმდებიან სხვა პირობებზე) წყალმომარაგების დაწყების თარიღიდან 10 დღის განმავლობაში. საბუღალტრო ჩანაწერებით, ახალი აბონენტების მიერ წყალმომარაგებისა და ქსელზე მიერთების საფასურის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის გამო, 2017 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, შპს „ბათუმის წყალს“ ერიცხება 9,910 ლარის დებიტორული დავალიანება.

მარეგულირებელი კომისიის გადაწყვეტილებით დადგენილ ვადაში,<sup>34</sup> 2017-2018 წლებში 61 აბონენტს კვლავ არ აქვს გადახდილი დაერთების საფასური, შედეგად, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს-ის დებიტორული დავალიანება გაზრდილია და შეადგენს 179,360 ლარს. არსებული დავალიანებიდან აუდიტის პერიოდში დაფარულია 85,725 ლარი,

<sup>29</sup> 2017 1,070,812 ლარი, 2018 – 1,087,752 ლარი.

<sup>30</sup> 800,792 ლარი გადახდილია 2018 წლის სექტემბერში.

<sup>31</sup> საზოგადოება ბანკში არსებულ თავისუფალ ნაშთზე პროცენტის სახით იღებდა სარგებელს.

<sup>32</sup> შპს-ის ხელმძღვანელის სიტყვიერი განმარტებით, აუდიტის პერიოდში შპს-მ ბანკის მიმართ დაიწყო სამართლებრივი საქმისწარმოება, ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

<sup>33</sup> საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის დადგენილებებით (N13, 25.07.2016, მუხლი 10; N32, 26.11.2008, მუხლი 18<sup>1</sup>; N32, 26.11.2008, „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ“, მე-18<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილი.), განაწილების ლიცენზიანტებმა, სტანდარტით გათვალისწინებულ კომერციულ მომსახურებასთან დაკავშირებით, ინფორმაცია და ახალი მომხმარებლის წყალმომარაგების სისტემაზე მიერთების პროცედურები დაუყოვნებლივ უნდა ასახონ ელექტრონულ ჟურნალში, ამასთანავე, დადგენილ დროში უნდა განახორციელონ მომხმარებლის ქსელზე დაერთება. აღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობა კი სალიცენზიო პირობების დარღვევა და მომხმარებელი თავისუფლდება მომსახურების ღირებულების გადახდისაგან.

<sup>34</sup> წყალარინების ქსელზე დაერთებამდე, მომხმარებელი იხდის კომპანიის ანგარიშზე დაერთების საფასურის 50%-ს, ხოლო დაერთებიდან 10 დღეში – დარჩენილ 50 %-ს.



თუმცა 93,635 ლარი<sup>35</sup> კვლავ დებიტორულ დავალიანებად რჩება. შედეგად, კომპანიამ ვერ მიიღო დამატებით ფულადი შემოსავალი,<sup>36</sup> რაც შიდა კონტროლის არსებით სისუსტეზე მიუთითებს. კომპანიის წერილობითი განმარტებით, დავალიანებების ამოღებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს სამართლებრივი წარმოება.

#### დასკვნა

შპს „ბათუმის წყლის“ მიერ, წყლისა და წყალარინების სისტემის რეაბილიტაციისათვის 2014 – 2018 წლებში გაწეული 50,567,906 ევროს ხარჯის პირობებში, მოპოვებული 194,035,959 კუბ.მ წყლიდან, დანაკარგად არის აღიარებული 143,941,142 კუბ.მ წყალი (საშუალოდ, 70%). შპს-ის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივი<sup>37</sup> გაქირავებულია 65,390 ლარით არამომგებიანი პირობით.<sup>38</sup> აბონენტების მიერ სწრაფი გადახდის აპარატებით გადახდილი მოხმარებული წყლის საფასური – 800,792 ლარი, მომსახურე ბანკმა დროულად არ მიმართა ბათუმის წყლის ანგარიშზე, რის გამოც, თავისუფალ ნაშთზე, სარგებლის სახით, შპს-მ ვერ მიიღო, არანაკლებ – 66,775 ლარის შემოსავალი, ხოლო მომხმარებლების ქსელზე დაერთების სალიცენზიო პირობების დადგენის გამო, დამკვეთმა არ გადაიხადა მომსახურების საფასური – 134,160 ლარი.<sup>39</sup> შედეგად, კომპანიამ ვერ მიიღო ჯამში 200,935 ლარის<sup>40</sup> შემოსავალი. აღნიშნული გარემოებები შესაბამის პერიოდში კომპანიის არაეფექტიან მმართველობაზე მიუთითებს და წარმოშობს რისკებს პასუხისმგებელი პირების მიერ არამართლზომიერი ქმედების განხორციელებასთან დაკავშირებით.

#### რეკომენდაცია N4

##### ქალაქ ბათუმის მერიას:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ, როგორც პარტნიორმა, შპს „ბათუმის წყლის“ ხელმძღვანელობასთან ერთად, შეისწავლოს კომპანიაში არსებული წყლის დანაკარგების, მომხმარებლების ქსელზე დაერთების სალიცენზიო პირობების დარღვევის და აბონენტების მიერ სწრაფი გადახდის აპარატებით გადახდილი თანხების კომპანიის ანგარიშზე დაგვიანებით დაბრუნების გამომწვევი მიზეზები; არაობიექტური გარემოების არარსებობის პირობებში, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს სამართლებრივი ღონისძიებები. ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს წლების განმავლობაში ამ სექტორში განხორციელებული მნიშვნელოვანი ინვესტიციების ეფექტიანობის შესწავლას, რომელმაც ვერ უზრუნველყო რესურსების დანაკარგების ადეკვატური ეკონომია. ამასთანავე, მეორე მხრივ, დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომელიც დროულად გამოავლენს ხარვეზებს, მაქსიმალურად ხელს შეუწყობს და გააუმჯობესებს შპს-ის ფინანსურ მდგომარეობას, რაც ადგილობრივ ბიუჯეტში დივიდენდის სახით დამატებითი შემოსავლის მიღების ერთ-ერთი საფუძველია.

#### 2.3 აქტივების განკარგვაში არსებული ხარვეზები

**კრიტერიუმი:** აქტივების ღირებულებაში შეიტანება<sup>41</sup> მათი შესყიდვის, წარმოების, მშენებლობის, მონტაჟისა და დადგმის ხარჯები (დანახარჯები). აგრეთვე სხვა ხარჯები (დანახარჯები), რომლებიც ზრდის მათ ღირებულებას,

<sup>35</sup> 01.12.2019 წლისათვის დავალიანებად ირიცხება: შპს MJM group – 23,600 ლარი; შპს „გიგერო“ – 11,500 ლარი; შპს „ახალი კერა“ – 9,800 ლარი და სხვ.

<sup>36</sup> დავალიანებების ამოღებაზე კომპანიის მიერ მიმდინარეობს სამართლებრივი წარმოება.

<sup>37</sup> დარიცხული ცვეთის ჩათვლით.

<sup>38</sup> თანხა – 65,390 ლარი, აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში, 2019 წელს დაბრუნებულია საზოგადოების ანგარიშზე.

<sup>39</sup> 93,635+40,525=134,160 ლარი.

<sup>40</sup> 134,160+ 66,775 =200,935 ლარი.

<sup>41</sup> საქართველოს კანონი - საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 148.

ხოლო აქტივების უსასყიდლოდ მიღებისას, ღირებულებაში შეიტანება მათი საბაზრო ფასით.

**გარემოება N1.** შპს „სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის ცენტრის“ შენობის სარემონტო სამუშაოების და ინვენტარით აღჭურვისათვის, თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს თბილისის პროგრამის საკოორდინაციო ოფისის (TIKA) მხარდაჭერით,<sup>42</sup> 2016-2017 წლებში უსასყიდლოდ განხორციელდა 2,083,234 აშშ დოლარის ღირებულების მომსახურება. კერძოდ, შენობების აღდგენისათვის ჩატარებულია 1,686,475 აშშ დოლარის ღირებულების სარემონტო სამუშაოები, მიწოდებულია 83,489 აშშ დოლარის ღირებულების სამედიცინო ინვენტარი და 313,270 აშშ დოლარის ღირებულების საოფისე ავეჯი, თუმცა აღნიშნული აქტივები შპს-ის მიერ არ არის ასახული 2017-2018 წლების ფინანსურ ანგარიშგებაში,<sup>43</sup> რაც აღრიცხვაში არსებული ხარვეზით არის გამოწვეული.

**გარემოება N2.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს და შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკურ საავადმყოფოს“ შორის 2015 წლის 3 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულებით (ცვლილებების გათვალისწინებით), საავადმყოფოს უსასყიდლოდ, არსებობის ვადით, თხოვების ფორმით გადაეცა 10,406,5 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი,<sup>44</sup> მათზე დამაგრებული 5,683,95 კვ.მ შენობა-ნაგებობები და 448 ერთეული 655,956 ლარის ღირებულების სამედიცინო აპარატურა და ინვენტარი. გადმოცემული აქტივები საავადმყოფოს მიერ არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში, შესაბამისად, შემცირებულია აქტივების ღირებულება, მინიმუმ, 655,956 ლარით.

## დასკვნა

მეწარმე სუბიექტების მიერ არასათანადო აღრიცხვის შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული უსასყიდლოდ გადმოცემული აქტივების ღირებულება, მათ შორის, შპს „სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის ცენტრის“ მიერ 2,083,234 აშშ დოლარის და შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ მიერ მინიმუმ 655,956 ლარის ღირებულების აქტივები, რამაც გამოიწვია საზოგადოების არასაოპერაციო შემოსავლის და კაპიტალის შემცირება, რაც შიდა კონტროლის სისუსტეზე მიუთითებს.

## რეკომენდაცია N5

შპს „სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის ცენტრის“:

შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოს“:

შპს „სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის ცენტრის“ და შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ გატარდეს ქმედითი ღონისძიებები, რომ უსასყიდლოდ გადმოცემული აქტივები, აღებულ იქნეს საზოგადოების შემოსავალში, რითაც გაიზრდება საზოგადოების კაპიტალი.

<sup>42</sup> თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციის თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს თბილისის პროგრამების საკოორდინაციო ოფისის წერილი N71, 27.04.2018.

<sup>43</sup> საზოგადოების განმარტებით, აქტივების გადმოცემის შემდეგ უნდა ჩატარებინათ ინვენტარიზაცია, თუმცა 2018 წელს ვერ განხორციელდა, რამაც გამოიწვია აქტივების ბალანსში აღურიცხველობა.

<sup>44</sup> მიწის ნაკვეთი – 10 090+316,5=10 406,5 კვ.მ, შენობა ნაგებობები – 5 367,4+316,5=5 683,95 კვ.მ.

## 2.4 დებიტორული დავალიანების ცვლილებებში არსებული ხარვეზები

**კრიტერიუმი:** ეფექტიანი ფინანსური მმართველობის უზრუნველსაყოფად, კომპანიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებები მიმართული უნდა იყოს მაქსიმალური სარგებლის მიღებისკენ. მოქმედი რეგულაციებით,<sup>45</sup> მოთხოვნების უიმედო ვალად აღიარება და ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯებზე მიკუთვნება ზრდის საზოგადოების ფინანსურ ზარალს, ამასთანავე, უიმედო ვალი არის გადამხდელის მიერ აღიარებული მოთხოვნა ან მისი ნაწილი, რომლის გადახდის ვადა გასულია და რომელიც არ ანაზღაურებულა.

**გარემოება N1.** შპს „ბათუმის წყლის“ საბუღალტრო ჩანაწერებით, საბალანსო ანგარიშზე, „საექვო მოთხოვნების“ სახით ერიცხებოდა 107,502 ლარის დებიტორული დავალიანება.<sup>46</sup> 2018 წელს შიდა სამსახურებრივი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ხანდაზმულობის მოტივით, 106,942 ლარის დავალიანება ჩამოწერილია, მათ შორის, დავალიანება მოქმედი შპს-ების მიმართ: შპს „ზიმო“ – 78,720 ლარი, ამხანაგობა „პროგრესი 1“ – 7,400 ლარი, ამხანაგობა „ამხანაგობა 20“ – 5,381 ლარი, ამხანაგობა NEW ENERGY – 2,625 ლარი და სხვ. ამასთანავე, „ბათუმის წყალმა“ ვერ წარმოადგინა საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ხანდაზმულობის და უიმედოდ აღიარების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რაც დავალიანებების მქონე პირების სასარგებლოდ, უსაფუძვლოდ ვალის ჩამოწერის და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ არამართლზომიერი ქმედების რისკებზე მიუთითებს.

**გარემოება N2.** შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ საბალანსო ანგარიშზე მოთხოვნების სახით რიცხული აქტივებიდან, „უიმედო მოთხოვნების“ სახით ჩამოწერილია 344,130 ლარის დებიტორული დავალიანება.<sup>47</sup> წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ აღნიშნული პირები მოქმედი საზოგადოებებია, უმეტეს შემთხვევაში დავალიანების მქონე პირების მიმართ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მიმდინარეობს აღსრულების საქმისწარმოება, თუმცა შპს-ის მიერ არ არის გათვალისწინებული აღნიშნული გარემოება და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ხანდაზმულობის და უიმედოდ აღიარების დამადასტურებელი მტკიცებულების გარეშე დავალიანებები აღიარებულია უიმედო მოთხოვნებად, რაც წარმოშობს კონკრეტული პირების ინტერესების გათვალისწინების არამართლზომიერი ქმედების რისკებს.

## დასკვნა

მოქმედი რეგულაციებით გათვალისწინებული პირობების დარღვევით, დებიტორული დავალიანების ჩამოწერით გაზრდილია შპს „ბათუმის წყლის“ ზარალი – 106,942 ლარით, ხოლო შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ ზარალი – 344,130 ლარით. ამასთანავე, შესაძლოა დავალიანების უსაფუძვლოდ ჩამოწერა ხორციელდებოდა დავალიანების მქონე პირების სასარგებლოდ, რაც წარმოშობს არამართლზომიერი ქმედების რისკებს.

<sup>45</sup> საგადასახადო კოდექსი. უიმედო ვალი: სასამართლოს/არბიტრაჟის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ; აღსრულების ორგანოს მიერ გაცემული ცნობა სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად მიქცევის შედეგად კრედიტორის მიერ კუთვნილი თანხის მიუღებლობის ან ნაწილობრივ მიღების თაობაზე; სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინება შესაბამისი პირის მიმართ გადახდისუუნარობის თაობაზე განცხადების წარმოებაში მიღების ან გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების ან/და რეაბილიტაციის დაწყების შესახებ.

<sup>46</sup> შპს „ზიმო“ – 78,720 ლარი, ამხანაგობა „პროგრესი 1“ – 7,400 ლარი, ამხანაგობა „ამხანაგობა 20“ – 5,381 ლარი, ამხანაგობა NEW ENERGY – 2,625 ლარი და სხვ.

<sup>47</sup> მიმწოდებლები – 51 ერთეული, 321,394 ლარი. 2 ფიზიკური პირის მიერ ასანაზღაურებელი ზიანი – 15,000 ლარი. ქონების იჯარიდან მისაღები დავალიანება – 1,931 ლარი და 23 ერთეული დისტრიბუტორის მიერ რეალიზებული სამგზავრო ბილეთების ღირებულება – 5,805 ლარი.

## რეკომენდაცია N6

### ქალაქ ბათუმის მერიას:

ქალაქ ბათუმის მერიამ, შპს „ბათუმის წყლის“ და შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ პასუხისმგებელ პირებთან ერთად შეისწავლოს დებიტორული დავალიანების უსაფუძვლოდ ჩამოწერის გამომწვევი მიზეზები და პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები. ამასთანავე, უზრუნველყოს დაუსაბუთებლად ჩამოწერილი დავალიანების ფინანსურ ანგარიშგებაში აღდგენა და მათ ამოსაღებად სათანადო ზომების მიღება.

### 2.5 შრომის ანაზღაურების ხარჯებში არსებული ხარვეზები

**კრიტერიუმი:** საწარმოთა მართვის უმაღლესი ორგანო პარტნიორთა კრება, რომელიც ახორციელებს მმართველობით ურთიერთობას, მათ შორის, იღებს გადაწყვეტილებას საზოგადოების დირექტორის დანიშვნა-გათავისუფლების და დირექტორის შრომის ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ, ხოლო თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით.<sup>48</sup> მოქმედი რეგულაციებით,<sup>49</sup> უქმე დღეებში დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება მიიჩნევა ზეგანაკვეთურ სამუშაოდ დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა აღემატება კვირაში 40 საათს, ხოლო დამკვიდრებული პრაქტიკიდან, სპორტსმენთა ჯანმრთელობის მდგომარეობისათვის, საზოგადოებაში ექიმის, ექთნის და მასაჟისტის თანამდებობაზე დასაქმებული უნდა იყვნენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები.<sup>50</sup>

**გარემოება N1.** შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ პარტნიორთა კრების მიერ დირექტორის შრომის ანაზღაურება თვეში განისაზღვრა 2,500 ლარის ოდენობით. 2018 წელს დირექტორის თანამდებობაზე წლის განმავლობაში განაცემი შეადგენს 44,875 ლარს, მათ შორის, უშუალოდ დირექტორის თანამდებობაზე – 32,375 ლარს, ხოლო საზოგადოებაში არსებული ფინანსური მენეჯერის თანამდებობის ვაკანსიის ხარჯზე დირექტორის მიერ შეთავსებით მიღებულია ანაზღაურება 12,500 ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ ფინანსური მენეჯერის თანამდებობაზე დირექტორის დანიშვნა განხორციელდა მისივე ბრძანებით, პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების გარეშე.<sup>51</sup> ანალოგიურად, შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ დირექტორზე დამატებით გაცემულია ანაზღაურება 14,905 ლარი.<sup>52</sup> ამასთანავე, შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ ფასიანი მომსახურებით<sup>53</sup> მიღებული შემოსავლებიდან, ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის დირექტორის ბრძანებით, განსაზღვრულია გასაცემი შრომის ანაზღაურების ოდენობა.<sup>54</sup> წარმოდგენილი დოკუმენტებით კი ირკვევა, რომ ადმინისტრაციის 18 თანამშრომლიდან,

<sup>48</sup> საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“. შპს „ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ და შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ წესდება.

<sup>49</sup> „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი.

<sup>50</sup> ა(ა)იპ – საქართველოს რაგბის კავშირის წესდებით და ა(ა)იპ – საქართველოს რაგბის კავშირის სადისციპლინო კოდექსით, რაგბის განვითარებისა და ბავშვებთან და მოზარდებთან მომუშავე მწვრთნელების შრომითი მოტივაციისათვის დაწესებულია ბავშვთა მწვრთნელის რანგირების კატეგორიები. მწვრთნელის თანამდებობაზე დასაქმებული პირი სარაგბო კავშირის მიერ ლიცენზირებული ფიზიკური პირია.

<sup>51</sup> ჩვენი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, პარტნიორმა განგვიმარტა, რომ მისთვის უცნობია აღნიშნული, რადგან დირექტორს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პარტიორისთვის არ მიუმართვას, ამასთანავე, 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება პარტიორს ჯერ არ განუხილავს.

<sup>52</sup> ქ. ბათუმის მერიის ინფორმაციით, შრომის ანაზღაურების ზრდა არ არის შეთანხმებული დამფუძნებელთან, ხოლო 2017- 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ აქვთ განხილული.

<sup>53</sup> არარეზიდენტ ფიზიკურ პირებზე გაწეული მომსახურების საფასური.

<sup>54</sup> ბრძანება N10, 17.02.2015 – 9%. ბრძანება N60, 07.11.2017 – 10 %.



## დასკვნა

მხოლოდ 6 თანამშრომელზე<sup>55</sup> გაცემული შრომის ანაზღაურება – 34,289 ლარი, ხოლო დარჩენილ 12 თანამშრომელზე<sup>56</sup> ანაზღაურება გაცემული არ არის და არც შესაბამისი დოკუმენტური დადასტურებაა წარმოდგენილი გაუცემლობის მიზეზთან და მოტივთან დაკავშირებით. აღნიშნული გარემოებები წარმოშობს რისკს, რომ შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში“ შრომის ანაზღაურება გაიცემა დასაქმებულთა თანასწორუფლებიანობის გაუთვალისწინებლად, ხელმძღვანელის შეხედულებისამებრ.

შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ და შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ ხელმძღვანელებმა, პარტნიორის გადაწყვეტილების გარეშე მიიღეს შრომის ანაზღაურების სახით 27,405 ლარი, ამასთანავე, შპს „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ მიერ, ადმინისტრაციულ პერსონალზე შრომის ანაზღაურება არ არის გაცემული თანასწორუფლებიანობის პირობებში ერთგვაროვანი მიდგომით, რაც პარტნიორის მიერ არაეფექტიან კონტროლის გარემოზე მიუთითებს.

**გარემოება N2.** შპს „სარაგბო კლუბ ბათუმის“ საშტატო განრიგით დამტკიცებული და დასაქმებულია 3 მასაჟისტი. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ 2 ფიზიკური პირის<sup>57</sup> მიერ, მასაჟისტის პოზიციით ფაქტობრივად შესრულებული სამუშაო არ დასტურდება და არც შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მტკიცებულება აქვთ წარმოდგენილი, მათ შორის, ერთ-ერთი ფიზიკური პირის<sup>58</sup> სამსახურში გამოცხადებაც კი არ დასტურდება. აღნიშნულ პირობებში, საზოგადოების მიერ აუდიტის პერიოდში გაცემულია შრომის ანაზღაურების სახით 8,250 ლარი.<sup>59</sup> აქვე უნდა აღნიშნოს, რომ მასაჟისტის თანამდებობაზე დასაქმებული პირი, ამავდროულად დანიშნული იყო დაცვის უფროსად და ბავშვთა მწვრთნელად და გაცემულია შრომის ანაზღაურება 4,750 ლარი, თუმცა არ არის წარმოდგენილი მწვრთნელის კვალიფიკაციის<sup>60</sup> დამადასტურებელი და მწვრთნელისათვის გათვალისწინებული<sup>61</sup> მომსახურების ფაქტობრივად შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

## დასკვნა

შპს „სარაგბო კლუბ ბათუმის“ საშტატო ერთეულით გათვალისწინებულ სხვადასხვა თანამდებობაზე დასაქმებული არიან შესაბამისი კვალიფიკაციის არმქონე ფიზიკური პირები, რომელთა მიერ განხორციელებულ მომსახურებაზე არ არის წარმოდგენილი მომსახურების ფაქტობრივად გაწევის დამადასტურებელი მტკიცებულება და შესაბამისი დასაბუთების გარეშე, ჯამში ორ პირზე გაცემულია ანაზღაურება 13,000 ლარი. აღნიშნული გარემოება წარმოშობს შპს-ის ფულადი სახსრების არამიზნობრივად ხარჯვის რისკებს.

**გარემოება N3.** შპს „ბათუმის წყლის“ მიერ 2017-2018 წლებში, ჯამში: 873 დასაქმებულზე<sup>62</sup> გაცემული შრომის ანაზღაურება შეადგენს – 12,687,377 ლარს, ხოლო გადაუდებელი სამუშაოების აუცილებლობიდან გამომდინარე, არასამუშაო საათებში თანამშრომელთა დასაქმების გამო, ზეგანაკვეთური

<sup>55</sup> დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ადმინისტრაციის უფროსი, მთავარი ბუღალტერი, სამეურნეო ნაწილის გამგე, სამეურნეო ნაწილის მთავარი სპეციალისტი.

<sup>56</sup> ბუღალტერი, მთავარი ეკონომისტი, იურისტი, სამეურნეო ნაწილის გამგე, აფთიაქის გამგე, მთავარი სპეციალისტები, დამლაგებლები.

<sup>57</sup> ხელშეკრულება უნომრო, 01.03.2018; ბრძანება N11/3, 01.08.2017, რომელიც ამავე დროს დასაქმებულია დაცვის უფროსად და მწვრთნელად.

<sup>58</sup> შპს „სარაგბო კლუბ ბათუმის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და ექიმის განმარტება.

<sup>59</sup> 8250 ლარი (3 750 ლარი+4 500 ლარი).

<sup>60</sup> სხვა მწვრთნელებზე წარმოდგენილია ა(ა)იპ – საქართველოს სარაგბო კავშირის გაცემული ლიცენზია.

<sup>61</sup> საქართველოს რაგბის კავშირის წესდება, შპს „ბათუმის სარაგბო კლუბის“ შინაგანაწესი.

<sup>62</sup> 2017 წ. – 416 დასაქმებული, 2018 წ. – 457 დასაქმებული.



სამუშაოს შესრულებისათვის აუდიტის პერიოდში დამატებით გაწეულია 1,770,710 ლარის ხარჯი. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პროგრამით,<sup>63</sup> სანიაღვრე არხების მიმდინარე მოვლა-ექსპლუატაციის მომსახურებაზე, რიგ შემთხვევებში, არ დგინდება შესრულებული სამუშაოს სახეები, არასამუშაო საათებში შესრულების აუცილებლობა და მიზანშეწონილობა. ამასთანავე, სამუშაოს შესრულების მიღება-ჩაბარების ანგარიშებში ასახული ქუჩები და ადგილმდებარეობა არ შეესაბამება ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტებში მითითებულ ქუჩებს. შედეგად, დაუსაბუთებლად, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურებისთვის გაწეულია ჯამში 401,345 ლარის ხარჯი.

## დასკვნა

შპს „ბათუმის წყლის“ მიერ, სანიაღვრე არხების მიმდინარე მოვლა-ექსპლუატაციის მომსახურებისათვის, თანამშრომლებზე ზეგანაკვეთური მუშაობისათვის შრომის ანაზღაურება – 401,345 ლარი გაცემულია შესრულებული სამუშაოს სახეების განსაზღვრის, არასამუშაო საათებში ფაქტობრივად შესრულების, მიზანშეწონილობის და სამუშაოს შესრულების ადგილმდებარეობის დადასტურების გარეშე, რაც შპს-ის ფულადი სახსრების არაეფექტიანად ხარჯვის რისკზე მიუთითებს.

## რეკომენდაცია N7

ქალაქ ბათუმის მერიას:  
აჭარის ავტონომიური  
რესპუბლიკის  
ჯანმრთელობისა და  
სოციალური დაცვის  
სამინისტროს:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, მათ მიერ დაფუძნებულ საწარმოებში დანერგონ ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც დროულად და სრულად გამოავლენს შრომის ანაზღაურების გაცემაში არსებულ ხარვეზებს, ხელს შეუწყობს დასაქმებულთა თანასწორუფლებიანობის პირობებში შრომის ანაზღაურების გაცემას და კომპანიების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამასთანავე, განიხილონ შესაბამისი დადასტურების გარეშე შპს „ბათუმის წყლის“ მიერ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურებისთვის გაწეული ხარჯის, შპს „სარაგბო კლუბ ბათუმში“ კვალიფიკაციის დამადასტურებელი მტკიცებულების გარეშე თანამშრომელთა დასაქმების, შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ და შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ დირექტორების მიერ შპს-ის წესდების შეუსაბამოდ, გაცემული შრომის ანაზღაურების გამომწვევი მიზეზები და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

## 2.6 სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციისათვის გაწეული ხარჯი

**კრიტერიუმი:** მოქმედი რეგულაციებით,<sup>64</sup> შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიზანია მოგების მიღება, ხოლო შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ საქმიანობის<sup>65</sup> საგანია საგზაო მოძრაობის რეგულირებასთან დაკავშირებული ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა უზრუნველყოფა.

**გარემოება N1.** შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ სატრანსპორტო საშუალებების ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ ერთი სამგზავრო ავტობუსი<sup>66</sup> ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანებულია და გაჩერებულია

<sup>63</sup> ხელშეკრულება N249, 27.12.2016, SPA160029275; ხელშეკრულება N232, 12.15 2017, NAT170013371.

<sup>64</sup> საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“.

<sup>65</sup> შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ წესდება. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის N510 დადგენილება „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ“ ტექნიკური რეგალმენტის დამტკიცების შესახებ.

<sup>66</sup> „ფავ“-ის მარკის სამგზავრო ავტობუსი, სახელმწიფო ნომერი OSO 534., წარმოშობის ღირებულება – 137,207 ლარი, ნარჩენი ღირებულება – 42,012 ლარი.

საზოგადოების ტერიტორიაზე. მოპოვებული მტკიცებულებებით ირკვევა, რომ ავტობუსის მძღოლი, 2018 წლის 22 აგვისტოს არაფხიზელ მდგომარეობაში მართავდა სატრანსპორტო საშუალებას, დაარღვია მოძრაობის წესები და განხორციელა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა. შედეგად, დაზიანებულია საზოგადოების საკუთრებაში არსებული სამგზავრო ავტობუსი და მსუბუქი ხარისხის დაზიანებები მიიღეს ავტობუსის მგზავრებმაც. წარმოდგენილი დოკუმენტებით, შპს-ზე მიყენებულ ზიანზე, სამართლებრივი ღონისძიებები განხორციელდა დაგვიანებით, კერძოდ 2019 წლის 13 აგვისტოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ გაცემული დასკვნით,<sup>67</sup> სატრანსპორტო საშუალების აღდგენა შემდგომი ექსპლუატაციისათვის მიზანშეწონილი არ არის, ხოლო 34,775 ლარის ზიანის ანაზღაურებისათვის 2019 წლის 3 ოქტომბერს, მძღოლის საბანკო ანგარიშზე დაედო ყადაღა.

**გარემოება N2.** შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ მიერ არ არის გათვალისწინებული „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული პირობები და ცალკეულ მარშრუტზე, 40 შემთხვევაში მგზავრთა გადაყვანა განხორციელებულია ტექნიკურად გაუმართავი სატრანსპორტო საშუალებებით, რის გამოც, საზოგადოების მიერ ჯარიმის სახით დამატებით გადახდილია 7,121 ლარი.

## დასკვნა

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ მიერ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანა განხორციელებულია ტექნიკურად გაუმართავი სატრანსპორტო საშუალებებით, რის გამოც, გადახდილია ჯარიმის სახით 7,121 ლარი, ამასთანავე, ფიქსირდება მძღოლის მიერ არაფხიზელ მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალების მართვა და შედეგად ავტოსაგზაო შემთხვევა. აღნიშნული გარემოება მგზავრთა და ქვეითთა უსაფრთხოების ნორმების დაუცველობაზე, აგრეთვე შპს-ზე მიყენებულ ზიანზე მიუთითებს.

## რეკომენდაცია N8

### შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“:

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა, იმსჯელონ, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის წესების დარღვევით შპს-ზე მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით დაგვიანებით განხორციელებულ რეაგირებაზე და პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატარონ სათანადო ღონისძიებები. ამასთანავე, შეიმუშაონ ისეთი შიდა კონტროლის მექანიზმები, რომლებიც შემდგომში აღმოფხვრის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის წესების დარღვევის და შპს-ზე ზიანის მიყენების ფაქტებს და უზრუნველყოფს მგზავრთა და ქვეითთა უსაფრთხოებას.

**კრიტერიუმი:** შპს „სანდასუფთავების“ ბალანსზე რიცხულ სატრანსპორტო საშუალებებზე<sup>68</sup> სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ დადგენილია საწვავის ხარჯის ოდენობა. მოქმედი რეგულაციებით,<sup>69</sup> გადასახადის გადამხდელი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, ვალდებულია სრულად აღრიცხოს ამ

<sup>67</sup> 13.08.2019წ. N5005240619.

<sup>68</sup> ბალანსზე რიცხული 69 ერთეულიდან დადგენილია 19 ერთეულზე.

<sup>69</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 18 აპრილის ბრძანება N230 „ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებულ ძირითად საშუალებაზე (ავტოტრანსპორტი, სპეც.ტექნიკა და სხვ.) გახარჯული საწვავის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვის წესის“ დამტკიცების თაობაზე.

საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა სამეურნეო ოპერაცია. ერთობლივი შემოსავლიდან საწვავის ხარჯის გამოსაქვითად აუცილებელი პირობაა, რომ სააღრიცხვო დოკუმენტაციით უზრუნველყოფილ იქნეს საწვავის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტების არსებობა, საწვავის შესაბამის ძირითად საშუალებაზე გაცემის დადასტურება და შეძენილი და გახარჯული საწვავის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების დადასტურება.

**გარემოება N1.** შპს „სანდასუფთავებას“ სამტაო განრიგით დასაქმებული 33 თანამშრომლიდან, უსასყიდლოდ, სამსახურებრივი საჭიროებისათვის, თხოვების ფორმით მიღებული აქვს ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც შემდგომში საზოგადოების ხელმძღვანელის ბრძანებით, მიმაგრებულია იმავე თანამშრომლებზე და გამოყოფილია საწვავის ხარჯვის ლიმიტი. აღნიშნულ ავტომანქანებზე აუდიტის პერიოდში სულ ჩამოწერილია 72,503 ლარის<sup>70</sup> ღირებულების 42,214 ლიტრი საწვავი, თუმცა იმის გამო, რომ ეკონომიკურ საქმიანობაში სატრანსპორტო საშუალების გამოყენება და გაცემული საწვავის სამსახურებრივი საჭიროებისათვის ხარჯვა წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება, საზოგადოების მიერ გაწეული ხარჯები საგადასახადო მიზნებისათვის დაბეგრილია დამატებით საშემოსავლო გადასახადში 24,083 ლარით და დღგ – 28,867 ლარით. შედეგად, შპს-ის ფინანსური ხარჯი, ჯამში ზედმეტად გაზრდილია 125,453 ლარით.<sup>71</sup>

**გარემოება N2.** შპს „სანდასუფთავების“ საბალანსო მონაცემებით, აუდიტის პერიოდში ბალანსზე ირიცხება 66 ერთეული სატრანსპორტო საშუალება. აუდიტის პერიოდში საზოგადოების მიერ ნაჩვენებია ავტომანქანებზე გაცემულად და ჩამოწერილია ხარჯებში – 1,231,267 ლარის<sup>72</sup> ღირებულების 712,839 ლიტრი საწვავი. ტრანსპორტის გადაადგილების აღრიცხვისათვის საზოგადოება აწარმოებს სატვირთო ავტომობილის საგზაო ფურცლებს, სადაც მითითებულია სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების დრო, მარშრუტი, მიღებული საწვავის ოდენობა და გავლილი მანძილი, თუმცა საწვავის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების და ხარჯებად აღიარებისათვის არ არის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალებების ფაქტობრივად გავლილი მანძილი, ექსპერტიზის მიერ დადგენილი საწვავის ხარჯის ოდენობა და საწვავის ჩამოწერა განხორციელებულია ცალკეულ სატრანსპორტო საშუალებაზე საწვავის ჩასხმის ბარათებში ასახული მონაცემების (ოდენობის) მიხედვით. აუდიტის ჯგუფის მიერ, შერჩევით განხორციელდა 2017-2018 წლებში 9 ავტომანქანაზე, 1,068 საგზაო ფურცლით<sup>73</sup> ნაჩვენები გავლილი მანძილის და დადგენილი ნორმის<sup>74</sup> ფარგლებში ჩამოწერას დაქვემდებარებული საწვავის რაოდენობის ფაქტობრივად ჩამოწერილ რაოდენობასთან შედარება. შედეგად ირკვევა, რომ ჩამოწერას ექვემდებარებოდა 43,895 ლიტრი საწვავი, ფაქტობრივად კი ჩამოწერილია 62,453 ლიტრი, ანუ 18,420 ლიტრით მეტი, 37,858 ლარის ღირებულების საწვავი. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით,

<sup>70</sup> 2017 წელი – 18,490 ლიტრი, ღირებულება – 28,856 ლარი; 2018 წელი – 23,724 ლიტრი, ღირებულება – 42,214 ლარი.

<sup>71</sup> საწვავის ხარჯი – 72,503 ლარი, საშემოსავლო გადასახადი – 24,083 ლარი, დღგ – 28,867 ლარი.

<sup>72</sup> 2017 წელი – 349,368 ლიტრი, ღირებულება – 536,996 ლარი; 2018 წელი – 363,471 ლიტრი, ღირებულება – 694,271 ლარი.

<sup>73</sup> სულ რეგისტრირებულია 16,485 საგზაო ფურცელი, მათ შორის, 2017 წელს – 8,075 ცალი, 2018 წელს – 8,410 ცალი.

<sup>74</sup> სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ დადგენილია 100 კმ-ზე საწვავის ფაქტობრივად ხარჯვის ოდენობა.

მაღალია რისკი იმისა, რომ ერთობლიობაში,<sup>75</sup> დადგენილ ნორმებთან შეუსაბამოდ ჩამოწერილი საწვავის ოდენობა კიდევ უფრო მეტი იყოს.

**გარემოება N3.** შპს „დინამო ბათუმს“ 2017-2018 წლებში ბალანსზე ერიცხება 2 ერთეული სატრანსპორტო საშუალება, მათ შორის, ერთი სატრანსპორტო საშუალება<sup>76</sup> არამუშა მდგომარეობაშია, ხოლო მეორე სატრანსპორტო საშუალებაზე<sup>77</sup> აუდიტის პერიოდში გაცემული და ჩამოწერილია 15,063 ლიტრი – 31,066 ლარის ღირებულების საწვავი. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ ავტომანქანის ოდომეტრი არამუშა მდგომარეობაშია, ხოლო 2017-2018 წლებში ტრანსპორტის გადაადგილების მარშრუტის და ფაქტობრივად გავლილი მანძილის დამადასტურებელი დოკუმენტური მტკიცებულება შპს-მ ვერ წარმოადგინა.

## დასკვნა

შპს „სანდასუფთავების“ მიერ უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით მიღებული ავტომანქანების ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენება და სამსახურებრივი საჭიროებისათვის 72,503 ლარის ღირებულების საწვავის ხარჯვა წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება, ხოლო ბალანსზე რიცხულ ავტომანქანებზე, გავლილი მანძილის და დადგენილი ნორმების შეუსაბამოდ ჩამოწერილია, მინიმუმ, 37,858 ლარის ღირებულების საწვავი, რომელიც ერთობლიობაში, შესაძლებელია გაცილებით მეტი იყოს. ამასთანავე, შპს „დინამო ბათუმის“ ბალანსზე რიცხულ ავტომანქანაზე, გავლილი მანძილის იდენტიფიცირების გარეშე ჩამოწერილია 31,066 ლარის ღირებულების საწვავი. აღნიშნული გარემოება წარმოშობს სატრანსპორტო საშუალებების და მასზე გახარჯული საწვავის არასამსახურებრივი მიზნით გამოყენების რისკებს.

## რეკომენდაცია N9

### შპს „სანდასუფთავებას“:

შპს „სანდასუფთავების“ ხელმძღვანელობამ, პარტნიორთან შეთანხმებით, გონივრულ ვადაში განიხილოს უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით მიღებული ავტომანქანების სამსახურებრივი საჭიროებისათვის გამოყენების და საწვავის ხარჯვის მიზანშეწონილობის მდგომარეობა, ამასთანავე, შპს „სანდასუფთავების“ და შპს „დინამო ბათუმის“ ხელმძღვანელობამ შეისწავლოს ბალანსზე რიცხულ სატრანსპორტო საშუალებებზე გავლილი მანძილის და დადგენილი ნორმის შეუსაბამოდ საწვავის ჩამოწერის გამომწვევი მიზეზები და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

## 2.7 წარმომადგენლობითი და სამივლინებო ხარჯები

**კრიტერიუმი:** ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში, წარმომადგენლობითი დანიშნულებით ხარჯების<sup>78</sup> გაწევა უნდა განხორციელდეს პირის სახელით გამართული ღონისძიებისათვის, საექსკურსიო და კულტურულ - სანახაობითი ღონისძიებისათვის სუვენირების შესაძენად და სტუმრების მომსახურების უზრუნველსაყოფად, ხოლო სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად დამქირავებლის ბრძანებით დაქირავებულის მივლინებისას, ხარჯების გაანგარიშება უნდა განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით<sup>79</sup> განსაზღვრული ნორმის შესაბამისად.

**გარემოება N1.** შპს „ბათუმის წყლის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, აუდიტის პერიოდში თანამშრომელთა მივლინებისათვის გაწეულია 87,097

<sup>75</sup> სულ ბალანსზე რიცხული 66 ავტომანქანაზე გამოწერილი 16,485 საგზაო ფურცლის გათვალისწინებით.

<sup>76</sup> ავტობუსი სახელმწიფო ნომრით UUU447.

<sup>77</sup> ავტობუსი სახელმწიფო ნომრით FC001DB.

<sup>78</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი – 8, ნაწილი – 33.

<sup>79</sup> 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანება „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“.



ლარის<sup>80</sup> ხარჯი. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული მივლინების ზღვრული ნორმების გათვალისწინებით უნდა გაწეულიყო 65,563 ლარის<sup>81</sup> ხარჯი. ამდენად, ნორმებთან შეუსაბამოდ, მივლინებისათვის გაწეულია ჯამში 21,534 ლარით მეტი ხარჯი. გარდა აღნიშნულისა, საზოგადოების მიერ 15,889 ლარი გახარჯულია წარმომადგენლობითი ხარჯებისათვის და წარმოდგენილია სარესტორნო მომსახურების დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტები და სასაქონლო ზედნადებები, თუმცა ეკონომიკური საქმიანობის მიზნით წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევა<sup>82</sup> დოკუმენტებით არ დასტურდება.

**გარემოება N2.** საქართველოს ფარგლებში გასვლითი კალენდარული მატჩის ჩატარებისათვის, შპს „სარაგბო კლუბ ბათუმის“ გუნდი დირექტორის ბრძანებით, 3-ჯერ მივლინებულია ქ. თბილისსა (2-ჯერ) და ქ. ქუთაისში (ერთხელ). მივლინების ხარჯებისათვის კლუბის მიერ ჯამში გადახდილია 8,636 ლარი.<sup>83</sup> წარმოდგენილი დოკუმენტებით (თამაშების კალენდარი) მივლინების პერიოდში მივლინებულ ადგილზე სპორტული ღონისძიების დაგეგმვა, ფაქტობრივად ჩატარება და გუნდის ფაქტობრივი მონაწილეობა არ დგინდება. ამასთანავე, გუნდის მწვრთნელები და ხელმძღვანელი პირები, მივლინების ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიების ჩატარებასა და მასში გუნდის ფაქტობრივად მონაწილეობას არ ადასტურებენ. აღნიშნული გარემოება, შპს „სარაგბო კლუბ ბათუმის“ შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ ფულადი სახსრების არამართლზომიერად განკარგვის რისკზე მიუთითებს.

**ცხრილი N6. შპს „სარაგბო კლუბ ბათუმის“ გუნდის მივლინების ხარჯები (ლარი)**

| ბრძანების<br>ნომერი და<br>თარიღი | მივლინების<br>ადგილი | მივლინებუ<br>ლ პირთა<br>რაოდენობა | ტრანსპორტ<br>ირების<br>თანხა <sup>84</sup> | კვებითი<br>მომსახურების<br>თანხა <sup>85</sup> | სულ<br>ჯამი  |
|----------------------------------|----------------------|-----------------------------------|--------------------------------------------|------------------------------------------------|--------------|
| ბრძანება<br>N74/ბ,<br>19.07.2017 | ქ. ქუთაისი           | 55                                | 850                                        | 586                                            | 1,436        |
| ბრძანება<br>N06/ბ,<br>15.02.2017 | ქ. თბილისი           | 58                                | 3,600                                      |                                                | 3,600        |
| ბრძანება<br>N14/ბ,<br>10.03.2017 | ქ. თბილისი           | 54                                | 3,600                                      |                                                | 3,600        |
| <b>ჯამი:</b>                     |                      |                                   | <b>8,050</b>                               | <b>586</b>                                     | <b>8,636</b> |

## დასკვნა

შპს „ბათუმის წყლის“ და შპს „ბათუმის სარაგბო კლუბის“ თანამშრომელთა მივლინებისათვის, კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების დარღვევით გახარჯულია 30,169 ლარით<sup>86</sup> მეტი, ხოლო წარმომადგენლობითი ხარჯებისათვის შპს „ბათუმის წყლის“ მიერ 15,889 ლარის ხარჯვა, წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება. აღნიშნული გარემოებები

<sup>80</sup> 2017 წ. – 49,037 ლარი; 2018 წ. – 38,060 ლარი.

<sup>81</sup> 2017 წ. – 36,949 ლარი; 2018 წ. – 28,614 ლარი.

<sup>82</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 8, ნაწილი 33. პირის სახელით გამართული ღონისძიებებისათვის (პრეზენტაციები, მიღებები) გათვალისწინებული ხარჯები; საექსკურსიო და კულტურულ-საანგარიშობითი ღონისძიებების ხარჯები; სუვენირების შეძენის ხარჯები; სტუმრების მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯები.

<sup>83</sup> ინდ. მეწარმე რამაზ ტაკიძეზე – 8,050 ლარი, ინდ. მეწარმე ნანი სოლომონიაზე – 586 ლარი.

<sup>84</sup> ინდ. მეწარმე რამაზ ტაკიძე, ხელშეკრულება N05, 10.02.2017წ. ს/კ 61003003341.

<sup>85</sup> ინდ. მეწარმე ნანი სოლომონია, ხელშეკრულება N13, 15.03.2017წ. ს/კ 53001014852.

<sup>86</sup> შპს „ბათუმის წყალი“ 21,533 ლარი, შპს „ბათუმის სარაგბო კლუბი“ 8,636 ლარი.



ფულადი სახსრების არამართლზომიერად განკარგვის რისკსა და შიდა კონტროლის არსებით სისუსტეზე მიუთითებს.

## რეკომენდაცია N10

შპს „ბათუმის წყალს“:  
შპს „სარაგბო კლუბ ბათუმს“:

შპს „ბათუმის წყალს“ და შპს „სარაგბო კლუბ ბათუმის“ ხელმძღვანელებმა, პარტნიორთან შეთანხმებით, ზედმეტად ანაზღაურებულ თანხებზე განსაზღვრონ პასუხისმგებელი პირები, არაობიექტური მიზეზების არსებობის პირობებში, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატარონ ქმედითი ღონისძიებები და უზრუნველყონ გამოუყენებელი თანხის დაბრუნება. ამასთანავე, დანერგონ ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ფულადი სახსრების შპს-ის ინტერესების გათვალისწინებით ხარჯვას.

## 2.8 სამედიცინო საქმიანობისათვის გაწეული ხარჯები

**კრიტერიუმი:** საზოგადოების საქმიანობა მიმართული უნდა იყოს ფინანსური შედეგის გაუმჯობესებასა და საზოგადოებისათვის მაქსიმალური სარგებლის მიღებაზე. ფინანსური შედეგი და მოგების ფორმირება ეფუძნება საქმიანობით მიღებულ შემოსავალს და ამ შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებით ფაქტობრივად გაწეულ ხარჯებს.<sup>87</sup>

**გარემოება N1.** შპს „სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის ცენტრის“ და შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური სავადმყოფოს“ მიერ გაწეული სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების ანალიზით ირკვევა, რომ რიგ შემთხვევებში საზოგადოების მიერ შესრულებაში ნაჩვენები მომსახურების ღირებულება, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს და სხვა დამფინანსებლების მიერ შემცირებულია იმ მოტივით, რომ ვერ დასტურდება შესაბამისი კოდით წარდგენილი დიაგნოზი, არასწორადაა მინიჭებული დაავადების კოდი, გასულია ვალიდაციის ვადა, ექიმების მიერ მიწოდებული ინფორმაცია შეუსაბამოა შეტყობინებაში არსებულ მონაცემებთან, სტაციონარიდან გაწერის შემდეგ განხორციელდა პაციენტების რეჰოსპიტალიზაცია. ისტორიაში გაურკვეველია ჩანაწერები, პაციენტი ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში არასწორად იყო დაყოვნებული, ჰოსპიტალიზაციისათვის არ იყო საკმარისი კრიტერიუმები და სხვ. შედეგად, შპს-ებმა ვერ მიიღეს გაწეული მომსახურების საფასური და ჯამში შემცირებულია შემოსავლები 163,536 ლარით, მათ შორის, შპს „სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის ცენტრის“ შემოსავალი – 43,454 ლარით, შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური სავადმყოფოს“ შემოსავალი – 120,082 ლარით.<sup>88</sup>

## დასკვნა

შპს-ის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ კლინიკაში პაციენტების არასწორად დაყოვნების, სტაციონარიდან გაწერის შემდეგ პაციენტების განმეორებით ჰოსპიტალიზაციის და პაციენტთა ისტორიაში გაურკვეველი ჩანაწერების გამო, სადაზღვევო კომპანიებისგან შპს-მ ვერ მიიღო გაწეული მომსახურების საფასური, შედეგად, ფინანსური ზარალი გაზრდილია ჯამში 163,536 ლარით, მათ შორის, შპს „სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის ცენტრის“ ზარალი – 43,454 ლარით, შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური სავადმყოფოს“ ზარალი – 120,082 ლარით. ამასთანავე, შპს-ის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ არ არის

<sup>87</sup> საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მე-2 მუხლის „დ“ პუნქტი.

<sup>88</sup> 2017 – 68,200 ლარი, 01.01. 2018 - 01.11.2018 – 32,946 ლარი, 01.11.2018 - 31.12.2018 – 18,936 ლარი, ჯამში: 120,082 ლარი.

## რეკომენდაცია N11

აჭარის ავტონომიური  
რესპუბლიკის ფინანსთა და  
ეკონომიკის სამინისტროს:  
აჭარის ავტონომიური  
რესპუბლიკის  
ჯანმრთელობისა და  
სოციალური დაცვის  
სამინისტროს:

გატარებული ღონისძიებები გაწეული ხარჯების აღდგენასთან დაკავშირებით, რაც შპს-ის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ დაუსაბუთებლად ხარჯების გაწევაზე, საოპერაციო ზარალის გაზრდასა და შპს-ის არასათანადო მმართველობაზე მიუთითებს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, როგორც მმართველმა, შპს „სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის ცენტრის“ და შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს“ ხელმძღვანელებთან ერთად, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატარონ ღონისძიებები საზოგადოებაზე მიყენებულ ფინანსურ ზარალთან დაკავშირებით, ამასთანავე, შეიმუშაოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს შპს-ის ფინანსური შედეგების გაუმჯობესებას.

## 2.9 სახელმწიფო შესყიდვები

**კრიტერიუმი:** მოქმედი რეგულაციებით,<sup>89</sup> სახელმწიფო შესყიდვის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს თანაბარი კონკურენციის პირობებში შესაბამისი ხარისხისა და სტანდარტის საქონლის მომსახურების შესყიდვას. ეფექტიანი ფინანსური მმართველობის უზრუნველსაყოფად, ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებები მიმართული უნდა იყოს საზოგადოების მოგების და საზოგადოებისათვის მაქსიმალური სარგებლის მიღებისკენ, ხოლო სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას, საწყისი სავარაუდო ფასის, ასევე ფაქტობრივი ხარჯების გამოთვლა უნდა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით განსაზღვრული ნორმების შესაბამისად.

**გარემოება N1.** შპს „სარაგბო კლუბ ბათუმის“ მიერ სასტუმროს მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის პირობებით, პრეტენდენტს, უნდა უზრუნველყოფოთ მორაგბეების შესაბამისი მომსახურება.<sup>90</sup> მიმწოდებლის სანდოობის შესაფასებლად, დამკვიდრებული პრაქტიკისაგან განსხვავებით, მოცემულ შემთხვევაში შემსყიდველს არ მოუთხოვია გამოცდილების და ტექნიკური დავალების შესასრულებლად, პრეტენდენტზე შესაბამისი შესაძლებლობების და ინფრასტრუქტურის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა. სახელმწიფო შესყიდვების შედეგების შესაბამისად, მხარეებს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, შემდგომში გაწეულ მომსახურებაზე შედგენილია მიღება-ჩაბარების აქტები და გადახდილია მიმწოდებელზე – 89,041 ლარი, თუმცა, აუდიტის პერიოდში მოპოვებული მტკიცებულებებით<sup>91</sup> ირკვევა, რომ ფიზიკურად მიმწოდებლებს და არც მის ქვეკონტრაქტორებს არ გააჩნიათ ის საჭირო ინფრასტრუქტურა და ტექნიკური შესაძლებლობა, რითაც განახორციელებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებას, ამასთანავე, მიმწოდებელმა მომსახურების ფაქტობრივად გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტები ვერ წარმოადგინა.

<sup>89</sup> საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მე-2 მუხლი.

<sup>90</sup> ჭიდაობის დარბაზით უზრუნველყოფა, სასტუმროს მომსახურება, სამჯერადი კვება, სარაგბო სტადიონზე ტრანსპორტირება, სტადიონით, ფიტნეს ტრენაჟორებით და დაცული ავტოსადგომით მომსახურება.

<sup>91</sup> შპს „სარაგბო კლუბ ბათუმის“ 2019 წლის 7 ივნისის N40 ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისიის დასკვნით.

## ცხრილი N7. შპს „სარაგბო კლუბ ბათუმის“ მიერ მორაგბეთა ვარჯიშისათვის მომსახურების შესყიდვა (ლარი)

| მიმწოდებელი        | SPA/NAT       | ბენეფიციართა რაოდენობა | ხელშეკრულება      | გადახდილი თანხა | არ გააჩნია სატენდერო პირობით გთვალისწინებული ინფრასტრუქტურა |
|--------------------|---------------|------------------------|-------------------|-----------------|-------------------------------------------------------------|
| შპს „თემო“         | NAT 170000127 | 36                     | N 02 20.01.2017   | 29,160          | ჭიდაობის დარბაზი, სარაგბო სტადიონი                          |
| ი/მ ნანი სოლომონია | SPA 170005435 | 30                     | N 21 21.04.2017   | 26,997          | აუზი, ჯაკუზი, საუნა ფიტნეს დარბაზით მომსახურება             |
| შპს „ბიენ კომპანი“ | NAT 180000241 | 34                     | N 14-1 02.02.2018 | 32,884          | აუზი, ჯაკუზი, საუნა, ფიტნეს ტრენაჟორები და სხვ.             |
| <b>ჯამი:</b>       |               |                        |                   | <b>89,041</b>   |                                                             |

**გარემოება N2.** შპს „სარაგბო კლუბ ბათუმის“ მიერ ი/მ რამაზ ტაკიძესთან<sup>92</sup> გაფორმებული ხელშეკრულების პირობებით, მიმწოდებელი კლუბის საჭიროებისათვის ახორციელებს უმაღლესი ლიგის გუნდების და საფესტივალო ასაკის ბავშვების ტრანსპორტირებას. მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებში ასახულია მგზავრთა გადაყვანა ბათუმი-თბილისის მიმართულებით და გადახდილია მიმწოდებელზე 6,900 ლარი, თუმცა მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ორ შემთხვევაში, ჯამში 4,600 ლარის სატრანსპორტო მომსახურების გაწევა ვერ დადასტურდა.

**დასკვნა**

შპს „სარაგბო კლუბ ბათუმის“ სპორტსმენებზე მიმწოდებლის მიერ მომსახურების ფაქტობრივად გაწევა წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დგინდება. შედეგად, მიმწოდებელს 93,641 ლარი მიღებული აქვს ისეთ მომსახურებაზე, რომელიც შესაძლოა არ განხორციელებულა. აღნიშნული გარემოება შპს-ის მიერ ფულადი სახსრების არამიზნობრივად ხარჯვაზე მიუთითებს.

**რეკომენდაცია N12****შპს „სარაგბო კლუბ ბათუმს“:**

შპს „სარაგბო კლუბ ბათუმის“ ხელმძღვანელობამ განიხილოს მიმწოდებლის მიერ მომსახურების განუხორციელებლობის პირობებში თანხის გადახდის გამომწვევი მიზეზები და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს ქმედითი ღონისძიებები, ასევე უზრუნველყოს გამოუყენებელი თანხის დაბრუნება.

**გარემოება N3.** შპს „ბათუმის წყლის“ მიერ ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალების ვიზუალისთვის, 2 ავტომანქანისათვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შეძენილია ავტომანქანის საფეხური, სალონის საფენი რეზინები, საბარგულის საფარი (კუნგი), რისთვისაც 2017-2018 წლებში ჯამში გადახდილია მიმწოდებელზე 30,398 ლარი.

## ცხრილი N8. სატრანსპორტო საშუალებებზე ვიზუალისთვის გაწეული ხარჯი (ლარი)

| რიგითი N                   | მიმწოდებელი        | ავტომანქანის სახელმწიფო ნომერი     | ხელშეკრულება     | გადახდილი თანხა | ხელშეკრულების საგანი                            |
|----------------------------|--------------------|------------------------------------|------------------|-----------------|-------------------------------------------------|
| 1.                         | შპს „ჯი-თი მოტორს“ | OQ 585 QO<br>OQ 575 QO             | N209, 27.11.2017 | 18,598          | საფეხური, კანოფი, სალონის საფენი                |
| 2.                         | შპს „ი.ნ კომპანია“ | BA 110 TS (პირველი ნომერი BA001TS) | N108, 22.05.2018 | 11,800          | საბარგულის საფარი (კუნგი),                      |
| <b>ჯამი (2017-2018 წწ)</b> |                    |                                    |                  | <b>30,398</b>   |                                                 |
| 3                          | შპს „კარ ჯორჯია“   | BA 001 TS<br>2018 წელში BA 110 TS  | N14, 25.01.2016  | 12,200          | საბარგულის საფარი, (კუნგი), საბარგულის ჩასაფენი |

<sup>92</sup> ხელშეკრულება N05, 10.02.2017წ. SPA 170001894.

გამარტივებული შესყიდვის საფუძვლად აღებულია საქართველოს მთავრობის დადგენილება,<sup>93</sup> თუმცა აღნიშნული დადგენილება არ ითვალისწინებს ავტომატური ვიზუალისთვის შესყიდული აქტივების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შეძენას. ამასთანავე, ერთ-ერთ მანქანაზე საბარგულის საფარი (კუნგი) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ჯერ კიდევ შეძენილი იყო 2016 წელს – 12,200 ლარად<sup>94</sup> და ჩამოწერილია, თუმცა ხანმოკლე პერიოდში მისი ჩამოწერის მოტივი და საფუძველი, ასევე შემდგომში 2017 წელს ახლის შეძენის შესაბამისი დასაბუთება, არ არის წარმოდგენილი.

## დასკვნა

შპს „ბათუმის წყლის“ მიერ 42,598 ლარის მომსახურების შესყიდვა განხორციელდა ბაზრის კვლევისა და ელექტრონული ტენდერის გარეშე, რაც კონკრეტული მიმწოდებლის ინტერესების სასარგებლოდ, შპს-ის სახსრების არასაბაზრო ფასებით ხარჯვის რისკზე მიუთითებს. ამასთანავე, სატრანსპორტო საშუალების ვიზუალისთვის ხარჯების გაწევა დაუსაბუთებელია და ეწინააღმდეგება ფულადი სახსრების რაციონალურად ხარჯვის პრინციპებს.

## რეკომენდაცია N13

### შპს „ბათუმის წყალს“:

შპს „ბათუმის წყალმა“ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და საკუთარი სახსრების ეკონომიურად ხარჯვის მიზნით, შესყიდვის დაგეგმვის და განხორციელების ეტაპზე, დანერგოს ეფექტიანი კონტროლის მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს ფულადი სახსრების რაციონალურად ხარჯვას, ამასთანავე, შეისწავლოს ელექტრონული ტენდერის გარეშე სატრანსპორტო საშუალების ვიზუალისთვის ხარჯების გაწევის მიზანშეწონილობა და არაობიექტური პირობების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს სათანადო ღონისძიებები.

**გარემოება N4.** შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანასა“ და შპს „სპეცმონტაჟი 2010“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების<sup>95</sup> საფუძველზე, მიმწოდებელს უნდა შეესრულებინა ქარხნის საკუთრებაში არსებული 1,000 კუბ.მ რეზერვუარის დემონტაჟის, გადაკეთება-მონტაჟის სამუშაოები. მხარეებს შორის შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტით და ექსპერტიზის დასკვნით<sup>96</sup> დადასტურებულია მიმწოდებლის მიერ (დარიცხვების ჩათვლით) 78,209 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულება და გადახდილია<sup>97</sup> შპს-ის ანგარიშიდან.

- წარმოდგენილი დოკუმენტებით, ხელშეკრულების ფასების ცხრილში შესასრულებელი სამუშაოს ჯამური ღირებულება შეადგენს 21,823 ლარს, თუმცა სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტებში და ექსპერტიზის დასკვნაში ყოველგვარი დასაბუთების გარეშე თანხის ჯამური მაჩვენებელი გაზრდილია და გადახდილია 1,467 ლარით მეტი.<sup>98</sup>

- შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთარღიცხვაში, ხელშეკრულებაში, მიღება-ჩაბარების აქტსა და ექსპერტიზის დასკვნაში არ არის მითითებული 21,823 ლარის ღირებულების დემონტაჟის, გადაკეთების და მონტაჟის შესასრულებელი და შესრულებული სამუშაოების დასახელება, მოცულობა და ერთეულის ფასი (მითითებულია მხოლოდ ჯამური ციფრი), თუმცა მიმწოდებლებზე თანხა სრულად არის გადახდილი.

<sup>93</sup> 2011 წლის 21 იანვრის N26 დადგენილება „ავტოსატრანსპორტო საშუალებების წლოვანების ან/და გარანტიის პირობების დადგენის შესახებ, რომელთა ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა შესაძლებელია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით“.

<sup>94</sup> შპს „კარჯორჯია“, ხელშეკრულება N14, 25.01.2016 წ.

<sup>95</sup> ხელშეკრულება N38, 05.07.2018 წ. NAT 180008521.

<sup>96</sup> სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, დასკვნა N005856618, 21.08.2018.

<sup>97</sup> საგადახდო დავალება N3044250, 24.08.2018.

<sup>98</sup> ფაქტობრივად გადახდილია 21,823+1,467=23,290 ლარი.



- წარმოდგენილი დოკუმენტებით, შესრულებაში ნაჩვენები და გადახდილია მიმწოდებელზე მასალების ღირებულება – 28,368 ლარი, თუმცა არ არის წარმოდგენილი მიწოდების/შემდგენის დამადასტურებელი სასაქონლო ზედნადები ან/და ანგარიშ-ფაქტურა, ხოლო მასალების შენახვა, დასაწყობება ან ფაქტობრივად გამოყენება და ხარჯვა წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება.

- შესრულებული სამუშაოს აქტის ჯამურ ღირებულებაზე თანხობრივად დამატებულია „მექანიზმების“ სახით 4,500 ლარი, რაზეც ვერ იქნა წარმოდგენილი აღნიშნული თანხით ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს/მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა ფორმალურ ხასიათს ატარებს, რადგან, როგორც დასკვნაშია მითითებული, „ექსპერტიზა განხორციელდა წარმოდგენილი ფორმა N2-ის მიხედვით შესრულებულ სამუშაოებზე“, მაგრამ ფაქტობრივად ფორმა N2-ში სამუშაოების დასახელება და მოცულობა არ არის ასახული.

ანალოგიურად, შპს „სავაჭრო ცენტრ 2009“-ის მიერ ბაზრის ტერიტორიაზე სექციების სავალი ნაწილის და მესამე გამყოფი ზოლის სახურავის მოწყობის სამუშაოების მიღებისას, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს იდენტიფიცირების გარეშე, საერთო შესრულებული სამუშაოს ჯამურ ღირებულებაზე დასაბუთების გარეშე პროცენტის სახით, დამატებით დარიცხული და გადახდილია, მიმწოდებელზე სატრანსპორტო ხარჯი – 5,244 ლარი.<sup>99</sup> ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილება, პროცენტის სახით ტრანსპორტის ხარჯების დამატებით დარიცხვას არ ითვალისწინებს.

## დასკვნა

შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის“ მიერ რეზერვუარის დემონტაჟის, გადაკეთება-მონტაჟის სამუშაოებისათვის 78,209 ლარი მიმწოდებელზე გადახდილია შესასრულებელი სამუშაოების დასახელების, მოცულობის და მასალების ფაქტობრივად ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე. ანალოგიურად, შპს „სავაჭრო ცენტრ 2009“-ის მიერ ბაზრის ტერიტორიაზე, სარემონტო სამუშაოებისათვის, სატრანსპორტო ხარჯი – 5,244 ლარი გადახდილია ფაქტობრივად შესრულების დადასტურების გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ დგინდება რამდენად შეესაბამება შპს-ების მიერ გაწეული ხარჯები რეალურად განხორციელებული სამუშაოების ღირებულებას.

## რეკომენდაცია N14

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ, როგორც პარტნიორმა, განიხილოს შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის“ და შპს „სავაჭრო ცენტრ 2009“-ის მიერ, ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გარეშე, მიმწოდებელზე ჯამში 83,453 ლარის გადახდის გამომწვევი მიზეზები, მიმწოდებლებისაგან მოითხოვოს შესაბამისი მტკიცებულებები და დაადგინოს ფაქტობრივად გაწეული ხარჯების ოდენობა, შეუსაბამობის არსებობის პირობებში, უზრუნველყოს ზედმეტად გადახდილი თანხების შპს-ის ანგარიშზე დაბრუნება და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

<sup>99</sup>  $4,144 + 86 = 4,230 \times 3\% \times 2\% \times 18\% = 5,244$  ლარი.



**გარემოება N5.** შპს „სარაგბო კლუბ ბათუმის“ გუნდის შემადგენლობა შეადგენს 98 თანამშრომელს,<sup>100</sup> მათ შორის, კლუბის ხელმძღვანელების მიერ 21 სპორტსმენის ბინით უზრუნველსაყოფად (დაქირავებისათვის), აუდიტის პერიოდში ბინის მესაკუთრე ფიზიკურ პირებთან გაფორმებულია ხელშეკრულება და გახარჯულია 149,716 ლარი. საზოგადოების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტური დადასტურება, თუ რა მიდგომით არის შერჩეული საცხოვრებელი ბინით დასაკმაყოფილებელი თანამშრომლები, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს დასაქირავებელი ფართობი, სად უნდა მდებარეობდეს და სავარაუდო ადგილმდებარეობის და კატეგორიების მიხედვით, რა ფასია გათვალისწინებული.

საზოგადოების პასუხისმგებელი პირების წერილობითი განმარტებით, საცხოვრებელი ბინის დაქირავებასთან დაკავშირებით, ყველა საკითხზე გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად იღებდა საზოგადოების დირექტორი. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ ერთსა და იმავე მისამართზე დაქირავებული სხვადასხვა ფართობიდან, პატარა ფართობშიც გადახდილია დიდი ფართობის საიჯარო ქირა, ასევე ქალაქის გარეუბანში დაქირავებულ ფართობში გადახდილია საბაზრო ღირებულებაზე მეტი თანხა.

**ცხრილი N9.** შპს „სარაგბო კლუბ ბათუმის“ მიერ დაქირავებული ბინები (ლარი)

| ბინის მფლობელი   | ბინის მისამართი                                 | ბინის ფართობი კვ.მ | ქირის ოდენობა (ლარი) |
|------------------|-------------------------------------------------|--------------------|----------------------|
| ნათელა ქოქოლაძე  | ქ. ბათუმი, რურუას ქ. N1 <sup>ა</sup> , ბინა N48 | 49,00              | 900                  |
| რუსუდან ქოქოლაძე | ქ. ბათუმი, რურუას ქ. N1 <sup>ა</sup> , ბინა N47 | 25,20              | 938                  |
| ციალა გეგუჩაძე   | ქ. ბათუმი, ტაბიძის ქ. N35 ბინა N26              | 66,41              | 1000                 |
| შალვა ჭიღრაძე    | ქ. ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის ქ. N1             | 60,00              | 1,000                |
| დავით ქადიძე     | ქ. ბათუმი, ხახულის ქ. N58                       | 212,04             | 900                  |

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კლუბის ხელმძღვანელების მიერ ბინით უზრუნველყოფილი 21 თანამშრომლიდან, 5 თანამშრომლის<sup>101</sup> საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის მისამართია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია, თუმცა დაქირავებულია საცხოვრებელი ბინა და გადახდილია 34,399 ლარი. ერთი პირი<sup>102</sup> რეგისტრირებულია ქ. თბილისში, საცხოვრებელი ფართობი გააჩნია ქ. ბათუმში, სარაგბო კლუბის მიერ კი დაქირავებულია სხვა ფართობი და გადახდილია 3,750 ლარი.

## დასკვნა

შპს „სარაგბო კლუბ ბათუმის“ მიერ სპორტსმენებზე ბინის დაქირავება რიგ შემთხვევაში განხორციელებულია საჭიროების დასაბუთების გარეშე. კერძოდ, ბინები დაქირავებულია ბათუმში საცხოვრებელი ფართის მესაკუთრე პირებზე, ხოლო თანხები ანაზღაურებულია ბინის ფართობისა და მდებარეობის შეუსაბამოდ, საბაზო ღირებულებაზე მეტი ოდენობით. შედეგად, შესაძლოა შპს-ის მიერ ფულადი სახსრები, ჯამში – 38,149 ლარი, არაეკონომიურად იყოს დახარჯული.

<sup>100</sup> 52 პირის საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის მისამართია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ხოლო 46 პირი რეგისტრირებულია ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

<sup>101</sup> მწვრთნელი – ი. გ.; მორაგბეები: ლ.ზ.; მ.ჯ.; დ.ჯ.; გ.პ.

<sup>102</sup> გ.ა.

## რეკომენდაცია N15

## შპს „სარაგბო კლუბ ბათუმს“:

შპს „სარაგბო კლუბ ბათუმის“ ხელმძღვანელობამ, პარტნიორთან შეთანხმებით, განიხილოს საცხოვრებელი ბინების დაქირავებისათვის გაწეული ხარჯების მიზანშეწონილობა და არაობიექტური გარემოებების შემთხვევაში, განსაზღვროს ბინების დაქირავებაზე პასუხისმგებელი პირები და გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები. ამასთანავე, შეიმუშაოს ისეთი კრიტერიუმები და ინდიკატორები, რაც უზრუნველყოფს სპორტსმენებისათვის საცხოვრებელი ფართის დაქირავების საჭიროებებისა და ხარჯების გაწევის მიზანშეწონილობის დადგენას.

**გარემოება N6.** შპს „სარაგბო კლუბ ბათუმის“ უმაღლესი, დუბლების და საფესტივალო ასაკის ბავშვების გუნდებისათვის რესტორნებისა და კვების მომსახურებისათვის განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით, მიმწოდებელს სპორტსმენებისათვის უნდა მიეწოდებინა ორი განსხვავებული შემადგენლობისგან შემდგარი მენიუს შესაბამისი კვების პროდუქტები<sup>103</sup> და წარმოედგინა შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტები გაფორმებულია მხოლოდ ჯამურ თანხაზე და გადახდილია კვების პროდუქტების ღირებულება – 44,356 ლარი, მათ შორის, ინდ. მეწარმე ნანი სოლომონიას წარმოდგენილი აქვს მხოლოდ ინვოისი, არა აქვს წარმოდგენილი საგადასახადო დოკუმენტაცია, ხოლო შპს „ბისტრო 2016“-ს წარმოდგენილი აქვს მხოლოდ საგადასახადო ანგარიშფაქტურა, სადაც მითითებულია შესყიდული კვების პროდუქტების (უღუფის) ჯამური რაოდენობა და ფასი. მიმწოდებლების მიერ არ არის წარმოდგენილი პროდუქტების სასაქონლო ზედნადებები, არ არის იდენტიფიცირებული მიწოდებული კვების პროდუქტების დასახელება, რაოდენობა, ერთეულის და ჯამური ფასები. აღიშნულიდან გამომდინარე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული კვების პროდუქტების ფაქტობრივი მიწოდების მდგომარეობა, წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება.

**ცხრილი N10.** შპს „სარაგბო კლუბ ბათუმის“ მიერ კვების პროდუქტების შესყიდვა (ლარი)

| მიმწოდებელი        | SPA/NAT          | ხელშეკრულება         | გადახდილი თანხა | არ არის იდენტიფიცირებული ფაქტობრივად მიწოდება |
|--------------------|------------------|----------------------|-----------------|-----------------------------------------------|
| ი/მ ნანი სოლომონია | SPA<br>170003058 | N13<br>15.03.2017 წ. | 28,060          | კვების პროდუქტები                             |
| შპს „ბისტრო 2016“  | NAT<br>180001722 | N21<br>05.03.2018 წ. | 16,296          | კვების პროდუქტები                             |
| <b>ჯამი:</b>       |                  |                      | <b>44,356</b>   |                                               |

**გარემოება N7.** შპს „სარაგბო კლუბ ბათუმის“ გასვლითი კალენდარული მატჩის ჩატარებისათვის, მორაგბეთა გუნდის უცხოეთში მგზავრობის, კვებისა და სასტუმრო მომსახურებაზე 2017 წელს,<sup>104</sup> 3 შემთხვევაში გაფორმებული ხელშეკრულებით გადახდილია მიმწოდებელზე 266,304 ლარი. სახელმწიფო შესყიდვა ელექტრონული ტენდერის ნაცვლად,<sup>105</sup> განხორციელდა

<sup>103</sup> ხილი, წყალი, შოკოლადის ბატონი, ზაჰაპური, ქათმის ბარკალი, ნატურალური ხილის წვენი, კარტოფილის პიურე, პური, ყველი.

<sup>104</sup> შპს „სარაგბო კლუბ ბათუმის“ დირექტორის ბრძანება N94/მ, 20.09.2017; ბრძანება N138/მ, 27.11.2017; ბრძანება N142/მ, 19.12.2017 – ტურნირი „ჩელენჯტასი“.

<sup>105</sup> საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 10<sup>1</sup>.

გამარტივებული საშუალებით. სამივე შემთხვევაში მიმწოდებელია ერთადერთი კომპანია შპს „პროგრესი 2017“<sup>106</sup>, რომელიც მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებულია სარაგბო კლუბთან პირველი ხელშეკრულების გაფორმების დღეს, 2017 წლის 20 სექტემბერს. აუდიტის პერიოდში გარე დადასტურებით, შპს „პროგრესი 2017“ - დან მიღებული მასალებით ირკვევა, რომ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისათვის სულ ჯამში გახარჯული აქვს 200,122 ლარი, ანუ კლუბის მიერ გადახდილთან შედარებით 66,182 ლარით ნაკლები.

ცხრილი N11. შპს „სარაგბო კლუბ ბათუმის“ უცხოეთში მგზავრობის ხარჯები (ლარი)

| N            | ლონისძიების<br>ჩატარების<br>ადგილი | ხელშეკრულებ<br>ის<br>ღირებულება | მონაწილეთ<br>ა<br>რაოდენობა | წარმოდგენილი დოკუმენტებით<br>გაწეული ხარჯი |                     |                                                    | სულ<br>გაწეული<br>ხარჯი | მიმწოდებ<br>ლის<br>სავარაუდ<br>ო მოგება |
|--------------|------------------------------------|---------------------------------|-----------------------------|--------------------------------------------|---------------------|----------------------------------------------------|-------------------------|-----------------------------------------|
|              |                                    |                                 |                             | სამგზავრო<br>ბილეთები                      | სასტუმრო<br>ს ხარჯი | ტრანსპორ<br>ტით შიდა<br>გადაადგი<br>ლების<br>ხარჯი |                         |                                         |
| 1.           | რუმინეთი                           | 102,000                         | 32                          | 44,480                                     | 25,937              | 405                                                | 71,715                  | 30,285                                  |
| 2.           | იტალია                             | 87,000                          | 36                          | 39,424                                     | 15,227              | 540                                                | 66,089                  | 20,911                                  |
| 3.           | იტალია                             | 77,304                          | 36                          | 43,365                                     | 18,989              | 6,839                                              | 62,318                  | 14,986                                  |
| <b>ჯამი:</b> |                                    | <b>266,304</b>                  |                             | <b>127,269</b>                             | <b>60,153</b>       | <b>7,784</b>                                       | <b>200,122</b>          | <b>66,182</b>                           |

ამდენად, როგორც ცხრილიდან ჩანს, მორაგბეთა გუნდის რუმინეთში მგზავრობისათვის მიმწოდებელზე გადახდილია 30,285 ლარით მეტი, ხოლო 2 შემთხვევაში, იტალიაში მივლინებისათვის – 35,897 ლარით მეტი, რაც შპს-ის მიერ ფულადი სახსრების არაეკონომიურად ხარჯვის რისკებზე მიუთითებს.

## დასკვნა

შპს „სარაგბო კლუბ ბათუმის“ სპორტსმენთა საჭიროებისათვის 44,356 ლარის ღირებულების კვების პროდუქტების შეძენა წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დგინდება. ამასთანავე, გაცვლითი კალენდარული მატჩის ჩატარებისათვის, გუნდის უცხოეთში მგზავრობის 266,304 ლარის მომსახურების შესყიდვა ნაცვლად ელექტრონული ტენდერისა, განხორციელდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სადაც 66,182 ლარის ხაჯვის დოკუმენტები წარმოდგენილი არ არის, რაც შესაძლოა კომპანიას დატოვებული ჰქონდეს მოგების სახით. აღნიშნული გარემოებები წარმოშობს სარაგბო კლუბის მიერ, მიმწოდებლის ინტერესების სასარგებლოდ, ჯამში 110,538 ლარის არაეკონომიურად და არამიზნობრივად ხარჯვის რისკებს.

## რეკომენდაცია N16

### ქალაქ ბათუმის მერიას:

ქალაქ ბათუმის მერიამ, შპს „სარაგბო კლუბ ბათუმის“ ხელმძღვანელობასთან ერთად, გამოიკვლიოს მიმწოდებლის მიერ გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენლობის მიზეზები, აღნიშნულ პირობებში, მიმწოდებელზე თანხის გადახდის მოტივი და საფუძველი, ამასთანავე, არაობიექტური მიზეზების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს ქმედითი ღონისძიებები და

<sup>106</sup>სკ 445516371.

უზრუნველყოს კლუბის ინტერესებისათვის გამოუყენებელი თანხის დაბრუნება.

**კრიტერიუმი:** ქ. ბათუმში, ანგისის დასახლებაში სპორტული ბაზის მშენებლობის დასრულების სამუშაოებისათვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებულია სახელმწიფო შესყიდვა.<sup>107</sup> სამუშაოს დასრულების ვადად განისაზღვრა 2018 წლის პირველი მარტი, ხოლო დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი – სამუშაოს შესრულებიდან 24 თვე.

**გარემოება:** ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, ანგისის დასახლებაში არსებული სპორტული ბაზის მიმდინარე მშენებლობის სამუშაოები დასრულებულია 2017 წელს, რაზედაც მერიის მიერ შედგენილია სამუშაოს შესრულების მიღება-ჩაბარების აქტები და დადასტურებულია ხელშეკრულების პირობების შესაბამისად სამუშაოს შესრულება. სპორტული ბაზის მიწის ნაკვეთი და ამ ნაკვეთზე არსებული სხვა შენობები, საწესდებო კაპიტალის გაზრდის მიზნით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით<sup>108</sup> გადაეცა შპს „დინამო ბათუმს“, საერთო ღირებულებით – 13,665,800 ლარი. აუდიტის პერიოდში, ვიზუალური დათვალიერებით ირკვევა, რომ სპორტული ბაზის შენობის კედლის ბათქაში დაზიანებულია, კედლებზე გაჩენილია ბზარები, შენობის სახურავიდან ჩამოსული წყლით დაზიანებულია ქერი, დეფორმირებულია ლამინატის იატაკი. შპს-ის ადმინისტრაციის წერილობითი განმარტებით, არსებულ დეფექტებზე ეცნობა მერიის შესაბამის სამსახურს, თუმცა ხარვეზები კვლავ გამოუსწორებელია.

## დასკვნა

შპს „დინამო ბათუმის“ საწესდებო კაპიტალში შეტანილი, მერიის მიერ აშენებული, ანგისის დასახლებაში არსებული სპორტული ბაზის შენობა დაზიანებულია, თუმცა როგორც შპს-მ, ასევე ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ, ვერ უზრუნველყო დაზიანების გამომწვევი მიზეზების შესწავლა და ზიანის ოდენობის განსაზღვრა. ასევე პასუხისმგებელი პირების მიმართ არ არის გატარებული შესაბამისი ღონისძიებები, შესაძლო ზიანის ასანაზღაურებლად.

## რეკომენდაცია N17

### ქალაქ ბათუმის მერიას:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობამ შეისწავლოს ანგისის დასახლებაში არსებული სპორტული ბაზის შენობის დაზიანების და არსებული ხარვეზების გამოუსწორებლობის გამომწვევი მიზეზები და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები. ამასთანავე, მერიამ გაატაროს ქმედითი ღონისძიებები, რათა დროულად მოხდეს სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის მიერ არსებული დაზიანებების გამოსწორება.

**კრიტერიუმი:** შპს „სტადიონის“ მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების პირობებით,<sup>109</sup> ქალაქ ბათუმში, პუშკინის ქუჩა N164/ტბელ აბუსერიძის ქუჩა N2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე 170-საწოლიანი, მრავალპროფილური კლინიკური საავადმყოფოს შენობის სამშენებლო სამუშაოები მიმწოდებელს უნდა დაესრულებინა 2018 წლის 18 მაისამდე პერიოდში.

<sup>107</sup> ხელშეკრულება N90, 29.03.2017წ. NAT 170002546, ღირებულება – 4,161,170 ლარი.

<sup>108</sup> ბრძანება N2332, 03.07.2018 წ.

<sup>109</sup> შპს „საბა კონსტრაქშენი“ ს/კ 440886098. ხელშეკრულება N2 18.01.2016წ. SPA 150026614, ღირებულება – 22,172,764 ლარი.

**გარემოება:** შპს „სტადიონის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, ქალაქ ბათუმში, მრავალპროფილური კლინიკური საავადმყოფოს შენობის სამშენებლო სამუშაოების დასრულების პირველი ვადა, სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში სხვადასხვა მიზეზებით არაერთხელ<sup>110</sup> შეიცვალა.<sup>111</sup> საბოლოოდ, სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 24,384,751 ლარით, ხოლო დასრულების ვადად განისაზღვრა 31 დეკემბერი, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა, სამუშაოები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითაც დაუსრულებელია. შპს „სტადიონის“ მიერ მიმწოდებელზე დაკისრებულია პირგასამტეხლო – 81,714 ლარი,<sup>112</sup> თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მხარეებს შორის 2018 წლის 31 დეკემბერს გაფორმებული შეთანხმებით, შეცვლილია სატენდერო წინადადებით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა, კერძოდ, შეუსრულებელ სამუშაოებზე ყოველდღიურად პირგასამტეხლოს 0,01% დაკისრების ნაცვლად, ერთჯერადად განისაზღვრა პირგასამტეხლო შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების 0,02%, რითაც შპს-მ დაკარგა არანაკლებ 42,071 ლარის<sup>113</sup> შემოსავლის მიღების შესაძლებლობა. შემსყიდველის მიერ პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრა ფორმალურ ხასიათს ატარებს, ხოლო შემდეგში მისი არსებითად შემცირება კი ზღუდავს მიმწოდებლის მოტივაციას, გათვალისწინებულ დროში შეასრულოს აღებული ვალდებულება. აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ შესაბამისი პასუხისმგებელი პირები არ მოქმედებდნენ შპს „სტადიონის“ ინტერესების გათვალისწინებით და შესაძლოა, მიმწოდებლის ინტერესების გათვალისწინებით, კომპანიის საზიანოდ, მიღებული იყო არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

## დასკვნა

შპს „სტადიონის“ მიერ ქალაქ ბათუმში, 170-საწოლიანი, მრავალპროფილური კლინიკური საავადმყოფოს შენობის სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს ხელშეკრულების პირობების დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების დასრულების ვადა 2018 წლის 18 მაისი, არაერთხელ შეიცვალა და მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო ვადად განისაზღვრა 2018 წლის 31 დეკემბერი, 384,082 ლარის სამუშაოები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითაც დაუსრულებელია. ამასთანავე, მხარეებს შორის გაფორმებული შეთანხმებით შეცვლილია პირგასამტეხლოს დარიცხვის პირობები, რითაც შპს-მ დაკარგა მინიმუმ 42,071 ლარის მიღების შესაძლებლობა. აღნიშნული გარემოებების შედეგად, დადგენილ ვადებში არ განხორციელდა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი, რის გამოც მოსახლეობა დროულად ვერ იღებს პროგრამით გათვალისწინებულ სიკეთეს.

## რეკომენდაცია N18

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ, შპს „სტადიონის“ ხელმძღვანელობასთან ერთად, განიხილოს ქალაქ ბათუმში

<sup>110</sup> შეთანხმება: 17.05.2018წ., ვადა განისაზღვრა – 31.08.2018წ.; შეთანხმება 31.08.2018წ., ვადა განისაზღვრა – 20.09.2018წ.; შეთანხმება 20.09.2018წ., ვადა განისაზღვრა – 15.10.2018წ.; შეთანხმება 12.10.2018წ., ვადა განისაზღვრა – 30.11.2018წ.; შეთანხმება 07.11.2018წ., ვადა განისაზღვრა – 31.12.2018წ.

<sup>111</sup> სამშენებლო და სამედიცინო დაწესებულებების რეგულირების სფეროში მოქმედ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები უსაფრთხოების კუთხით; აკრედიტირებული ექსპერტის შპს „გარანტი ჯგუფის“ დასკვნით გაზრდილია სამუშაოების ღირებულება 2,213,907 ლარით. საპროექტო მოცულობების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში მითითებულ მოცულობებთან თავსებადობისათვის სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის წარმოსადგენად საჭირო დრო.

<sup>112</sup> 2018წ. – 59,361 ლარი; 2019 წ. – 22,353 ლარი.

<sup>113</sup> აკრედიტებული ექსპერტის – შპს „გარანტი ჯგუფის“ დასკვნით, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ახალი სამუშაოების ღირებულება შეადგენს 2,213,907 ლარს. აღნიშნულიდან 18.10.2019წ.-მდე შეუსრულებელია 384,082 ლარი. ვადაგადაცილება 01.01.2019-18.10.2019. შეადგინა 291 დღე, ერთ დღეზე საურავმა შეადგინა (2,213,907\*0,01%) 221,3 ლარი, ხოლო 291 დღეზე შეადგენს – 64,424 ლარს. დარიცხულია 22,353 ლარი, დამატებით უნდა დარიცხულიყო, სავარაუდოდ, 42,071 ლარი.



აჭარის ავტონომიური  
რესპუბლიკის ფინანსთა და  
ეკონომიკის სამინისტროს:

170-საწლიანი, მრავალპროფილური კლინიკური საავადმყოფოს შენობის  
სამშენებლო სამუშაოების ხელშეკრულების პირობების შესაბამისად,  
შეუსრულებლობის და პირგასამტეხლოს დაუკისრებლობის გამომწვევი  
მიზეზები და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს  
კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

აუდიტორები

ხელმოწერა

ნადიმ ბოლქვაძე  
მთავარი აუდიტორი

გურანდა გვაზავა  
უფროსი აუდიტორი

ზვიად ვარშალომიძე  
აუდიტორი

გიორგი აბულაძე  
აუდიტორ-ასისტენტი

ნ. ბოლქვაძე  
გ. გვაზავა  
ზ. ვარშალომიძე  
გ. აბულაძე

## საკონტაქტო ინფორმაცია

---

ვებგვერდი და  
სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>  
<https://www.budgetmonitor.ge/ka>  
<http://www.blog.sao.ge/>  
<http://www.sai.ge/main/>  
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>  
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>  
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

---

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

---

ელექტრონული ფოსტა

[sao@sao.ge](mailto:sao@sao.ge)

---

სახელმწიფო აუდიტის სამსახური  
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96  
+995 32 243 84 38